სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 3 ნოემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საქმიანი განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ფულ არ დაუბრუნებს და არც მათ შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 237 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 237

საქართველოს სოციალ-დემოკრატიის

წერილი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი მიწერილი

თქვენ, მთელი ქვეყნის პროლეტართა წარმომადგენლებს, მოგმართავთ საქართველოს პროლეტარიატისა და მთელი ქართველი ხალხის სახელით.

ჩვენს პატარა ერს ძნელი ისტორიული გზა ხვდა წილად სასიარულოდ.

მრავალი საუკუნის წინეთ დასავლეთის კულტურის ჩანასახი გადმოსტყორცნა ისტორიამ საქართველოში, რომელიც მდებარეობს კავკასიის მთა-გრეხილის სამხრეთით—შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირად, ევროპისა და აზიის შორის ძველის ძველ საერთაშორისო გზაზე. მაგრამ, საუბედუროთ ჩვენი ერისა, ის ცხოვრობდა ევროპის კულტურის წყაროს დაშორებით, იმ წრეში, სადაც გაბატონებული იყო ნაციონალური შუღლი და სარწმუნოებრივი ფანატიზმი. სისხლით გამოისყიდა საქართველომ მისწრაფება კულტურისადმი, რაც მისი მეზობლებისთვის უცხო ხილი იყო, ვინაიდან ისინი იმყოფებოდნენ მუსულმანთა აღმოსავლეთური დესპოტიის კალთის ქვეშ.

საქართველოში შემოიჭრებოდნენ და მას აოხრებდნენ სხვადასხვა მომთაბარენი, რომელნიც ძარცვავდნენ და ცეცხლს აძლევდნენ საქართველოს ქალაქებს და სოფლებს, სთელავდნენ მის ხანნავ ნათესს, ჩეხდენ ბაღებს, ელეტდნენ ხალხს და ტყვეთ იტაცებდნენ დედაკაცებს და ბავშვებს. ამიტომ იკრეფდა ჩვენი ხალხი მთელს თავის ძალ ღონეს, რომ დაეცვა თავისი კერა. და რამდენით უმოწყალო, შეუბრალებელი იყო ბარბაროსული აზიის მხრით ჩვენს ხალხზე თავდასხმა, იმდენით მასში მაგრად იდგამდა ფესვებს ევროპიული კულტურისადმი მისწრაფება.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში ჩვენი ხალხის მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა. მეზობლების მხრით განუწყვეტელი თავდასხმისა და განუწყვეტელი ომების გამო, მისი რაოდენობა 7 მილიონიდან ერთ მილიონ ნახევრამდე ჩამოვიდა. ამ ხანებში კავკასიის მთაგრეხილის ჩრდილოეთით ფეხი მოიკიდა და გამაგრდა რუსეთი. და მას, როგორც ორგანიზაციულათ უფრო მოწყობილს და კულტურითაც მონათესავე სახელმწიფოს, მიმართა სისხლით დაცლილმა საქართველომ იმ იმედით, რომ მასში ჰპოვებდა მფარველს ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ. ამ რიგათ მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთება, თანახმად ხელშეკრულობისა, რომლითაც საქართველოსთვის დაცული უნდა ყოფილიყო შინაური სახელმწიფოებრივი თვითმართველობის ყველა უფლებები. რუსეთმა ჩვენს ხალხს მფარველობა გაუწია, მიანიჭა მას ნანატრი მშვიდობიანობა. ასეთ ვე მშვიდობიანობა მიანიჭა რუსეთმა მთელს ამიერ-კავკასიას, რომელსაც ღონეს ართმევდა და აქუცმაცებდა მასში მობინადრე სხვადასხვა ტომთა ერთი-ერთ შორის შური და მტრობა.

რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოში ფეხი მოიკიდა კულტურამ, წარმოიშვა მრეწველობა, განვითარდა პროლეტარიატი, გამსჭვალული ამავე იდეალებით, რომლებიც, ამხანაგებო, თქვენც გინათებენ გზას.

მაგრამ თუმცა დაიცვა საქართველო რუსეთის თვითმპყრობელობამ ოსმალთაგან, მაგრამ თან დაიმონავა იგი; და არც შეიძლებოდა მინდობილ ერის უფლებებისთვის გაეწია ანგარიში იმ მთავრობას, რომელიც შეუბრალებლათ სჩაგრავდა თავის ხალხს.

ცარიზმის უღელი მძიმე ტვირთათ დააწვა კისრათ ქართველ ხალხს. ამ ტვირთს ქართველი ხალხი რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებთან ერთად ეწეოდა და, როცა საწარმოვო განვითარებამ წარმოშვა მუშათა მოძრაობა საქართველოში, მეფის თვითმპყრობელობის სახით ჩვენმა პროლეტარიატმა დაინახა არა მარტო თავისი მტერი, არამედ—მტერი მთელი რუსეთის დემოკრატიისა. ამ დემოკრატიასთან ერთად ბრძოლაზე დადგა საქართველოს პროლეტარიატმა თავისი იმედები და რუსეთის რევოლუციის საქმეს შესწირა მთელი თავისი ძალღონე.

როგორც სრულიად რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის მონაწილეებმა, ჩვენ პირველად შემოვდგით ფეხი, ამხანაგებო, თქვენს ინტერნაციონალურ ოჯახში.

უდიდესი უბედურება იყო ჩვენთვის მსოფლიო ომის დასაწყისი, რომელმაც დაარღვია ინტერნაციონალის ძმური კავშირი.

სამაგიეროთ დღესასწაული იყო რუსეთის რევოლუციის დასაწყისი. მასში ჩვენ ვხედავდით ჩვენი სოციალისტური იდეების განხორციელებას, მთელი კაცობრიობის განთავისუფლებას და ხალხთა მსოფლიო ძმობის აღორძინების განთიადს.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ხანგრძლივი არ ყოფილა რუსეთის დიდი რევოლუციის დღესასწაული. მის გულში გაჩნდა მისი დამღუპველი ძალა ანარქიისა, რომლის განვითარება უფსკრულისაკენ მიაქანებდა რევოლუციას და რუსეთის სახელმწიფოს ნანგრევებზე კონტრ-რევოლუციის უმზადებდა გამარჯვებას. ჩვენი პროლეტარიატი რუსეთის შეგნებულ სოციალ-დემოკრატიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ბოლომდე ებრძოდა ამ ძალებს, ბოლომდე ერთგულად ემსახურა იმ პოლიტიკას, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული მთელი დემოკრატიის ძალთა შემოკრებით რევოლუციონური რუსეთის დასახსნელად ანარქიისა და კონტრ-რევოლუციის უფსკრულისაგან. მაგრამ უიმედო გამოდგა ეს ბრძოლა,—ანარქია და კონტრ-რევოლუცია, ეს ორი ძალა ერთნაირი დამღუპველი დემოკრატიისა, რუსეთს უფსკრულისაკენ მიაქანებდა და თავდაუჭერლათ ქმნიდა ნიადაგს რუსეთის მთლიანობის დანგრევისას და ჩვენსა და რუსეთს შორის კავშირის გაწყვეტისას. ბოლშევიკების მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდებამ მთელი რუსეთის სივრცეზე გააჩაღა სამოქალაქო ომის კოცონი, დააქუცმაცა რუსეთი ცალკე ნაწილებათ და მოგვწყვიტა ჩვენ ჩრდილოეთს. ჩვენმა პროლეტარიატმა, მისი სახალხო ორგანიზაციების სახით, მიიღო თავის თავზე ინიციატივა შექმნა ამიერ-კავკასიის თვის მართველობა. ეს მართველობა მან მოაწყო ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, შექმნა რა ამიერ-კავკასიის სეიმის სახით წარმომადგენლობითი დაწესებულება ამიერ-კავკასიაში მოსახლე ყველა ერთათვის და გადამჭრით უარჰყო ლოზუნგი უმცირესობის დიქტატურისა, ის ლოზუნგი, რომლის გამარჯვებამ რუსეთში დემოკრატიის ბანაკში გააჩაღა ურთიერთ შორის ომი.

ამით მან იხსნა ამიერ-კავკასია სამოქალაქო ომისაგან, რომელიც ადგილობრივ პირობების მიხედვით აუცილებლათ გართულდებოდა და ერთა შორის ბრძოლათ გადაიქცეოდა.

ამ მომენტიდან პოლიტიკური ცხოვრების გზა ჩვენი ქვეყნისა და რუსეთისა ერთმანეთს დაშორდა. და ეს დაშორება დღითი დღე უფრო და უფრო ღრმავდებოდა. მაგრამ, ვიდრე რუსეთის ისტორიულ გზაზე კიდევ ჰკრთოდა იმედი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევისა, ჩვენ არ შეგვიწყვეტია მასთან ფორმალური კავშირი.

ჩვენ გვაწყვიტეს ბრესტ ლიტოვსკში. მაგრამ ჩვენ ვთვლიდით თავს რუსეთის ნაწილად, არ გვსურდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს სახით გამოსვლა, რომელიც თავის კეთილდღეობას აგებს მოძმე ხალხის უბედურებაზე და ამიტომ ჩვენ არ წავედით იქ.

მაგრამ რამდენათაც რუსეთი იძირებოდა სამოქალაქო ომის ცეცხლში და ღრმავდებოდა უფსკრული იმ გზას შორის, რომელზედაც ერთი მხრით მიდიოდა რუსეთი 1917 წლის ოქტომბერში მოხდარი გადატრიალების შემდეგ, და მეორე მხრით, ჩვენმა პროლეტარიატმა დააყენა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება, იმდენათ უფრო აშკარავდებოდა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი კავშირი რუსეთთან უნდა გაწყვეტილიყო, ვინაიდან ერთ და იმავე დროს დაირღვა რუსეთთან ერთიანობის გრძნობა, რასაც ჩვენს ხალხში ამაგრებდა პოლიტიკური იდეალების ერთიანობა და მატერიალური ისტორიული საფუძველი საქართველოს რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირისა. ეს მატერიალური საფუძველი გამოიხატებოდა იმ შეიარაღებულ მფარველობაში, რომელსაც ძლიერი რუსეთი უწევდა პატარა საქართველოს. როგორც ასი წლის წინად საქართველოს მოწოდებით მოსულმა რუსის ჯარმა ჩვენში საქართველოს ხალხი უზრუნველჰყო გარეშე საფრთხისაგან და მით გაამაგრა კავშირი ჩვენსა და რუსეთს შორის, ისე ახლა, რუსის ჯარის ჩვენი საზღვრებიდან წასვლამ საქართველო პირში მისცა ოსმალებს დასარბევად და გასაძარცვავად და მით გასწყვიტა ეს მთავარი კავშირი. საქართველო იმავე მდგომარეობაში მოექცა, რომლიდანაც ის სცდილობდა გამოსავლის პოვნას 120 წლის წინად.

დაიძრა თუ არა რუსის არმია ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან, ზვავივით მოსქდა და შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის შიგაგულში ოსმალთა ლაშქარი. ახლდა ოსმალეთის იმედი აღმოსავლეთში უსაზღვრო ბატონობის გავრცელებისა. ევროპის ხალხთა მიერ შევიწროებულმა ოსმალეთმა თვალი კავკასიას მიაპყრო. ჩვენ შევეცადეთ თავი დაგვეცვა, მაგრამ რით შეგვეძლო ჩვენ ჩვენი საზღვრების დაცვა? საკუთარი ჯარი საქართველოს არ მოეპოვებოდა, რუსეთის არმია კი, რომელიც საქართველოს საზღვრებს იცავდა, გაიხრწნა და გახდა არა მფარველი, არამედ—საფრთხე ჩვენი არსებობისა. ათი თვე გაგრძელდა ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცთა ტალღების დენა ჩვენს ქვეყანაში და ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი მუშები იძულებულნი იყვნენ იარაღით ხელში დღე და ღამე დარაჯათ მდგარიყვნენ, რომ დარბევისაგან დაეცვათ ჩვენი ქალაქები და სოფლები.

ამ მდგომარეობაში მოგვიხდა ჩვენ ოსმალეთთან შეხვედრა, როცა მან მიიღო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის ძალით ყარსის, არდაგანის და ბათუმის საუკეთესო ციხე-სიმაგრეები, რის წყალობითაც ამიერ-კავკასიის გზა ფართოდ გაეხსნა და შემოტევას აწარმოებდა. ოსმალეთის შემოტევას ჩვენთვის მოჰქონდა არა მარტო პოლიტიკური მონობა, არამედ მთელი ჩვენი კულტურის აოხრება და ჩვენი ხალხის ფიზიკური განადგურება.

ჩვენ შევეცადეთ შეგვეკავშირებინა ამიერ-კავკასიის ერები მთელი ამიერ-კავკასიის დაცვისთვის. მაგრამ ჩვენს ასეთს ცდას წინ გადაეღობა სომეხ-თათართა შუღლი, რომელიც სწეწავდა ამიერ კავკასიის სხეულს. ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ შემოტევის დროს ოსმალებმა მოკავშირენი ჰპოვეს ადგილობრივ მუსულმან ხანებსა და ბეგებს შორის, რომლებიც ოცნებობდნენ ოსმალთა შემწეობით დაებრუნებინათ რევოლუციის დროს დაკარგული სიმდიდრე, მიწა და ძალა-უფლება. ამ წრის პოლიტიკამ ნაყოფიერი ნიადაგი მოიპოვა მუსულმანთა ჩამორჩენილ მასებში. გადამწყვეტ მომენტში, როცა ფრონტზე გამოაშკარავდა ოსმალთა ძალების უპირატესობა და ოსმალეთმა დაიკავა სომხეთი და საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, აღმოსავლეთ ამიერ-კავკასია მიენდო სავსებით ოსმალეთს და მის მხარეზე გადავიდა.

ასე დაირღვა ამიერ-კავკასია. ჩვენ დავრჩით მარტონი ცეცხლის ალში გახვეული, ყოველ მხრიდან მტრების მიერ გარშემორტყმული. დასავლეთიდან და სამხრეთიდან ჩვენზე მოდიოდა ოსმალთა ლაშქარი, სამხრეთიდან გვემუქრებოდნენ ბოლშევიკები, აღმოსავლეთიდან—თათრები.

საქართველოს ბედი ბეწვზე ეკიდა. და არ სჩანდა ძალა, რომელსაც შეეძლო დაღუპვისაგან დაეხსნა ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ბურჟუაზია მცირერიცხოვანია, შეუკავშირებელია, არ გააჩნია ინიციატივის და აქტივობის უნარი. ჩვენი თავად აზნაურობა მიჩვეულია მუქთახორულ არსებობას, დროს ატარებს და არა სახელმწიფოებრივ საქმეების კეთებას. მაგრამ მოიპოვება საქართველოში საზოგადოებრივი კლასი, რომელმაც თავს იდვა ქვეყნის ხსნის საქმე: რევოლუციის დაცვა, წესრიგის დამყარება, სახელმწიფოს საზღვრების გამაგრება, გარეშე ქვეყნებთან კავშირის დაჭერა. ყველა ეს იტვირთეს ჩვენმა მუშებმა.

პირველი საკითხი, რომელიც მათ სახელმწიფოს აღმაშენებლობითი მუშაობაში დაუდგათ წინ, იყო დაძლევა ანარქიის, რომელიც შიგნიდან სახელმწიფოს დანგრევით ემუქრებოდა. გარედან მომდგარი უდიდესი საშიშროების ჟამს, ეს მუქარა თავზარდამცემი იყო ჩვენი ქვეყნისათვის: [illegible] ეკონომიური არევ-დარევამ და გაჭირვებამ შექმნა საუკეთესო პირობები ხალხის უკმაყოფილებისათვის. ის ძალები კი, რომლებიც მტრული თვალით უცქეროდნენ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას, ცდილობდნენ ამ ხელსაყრელი პირობების თავის მიზნებისთვის გამოყენებას. ამ მხრით შეთანხმებულათ და ერთსულოვნად მუშაობდნენ ბოლშევიკები, ოსმალთა აგენტები და ჩვენი კონტრ რევოლუციონური თავად-აზნაურობის ზოგიერთი ელემენტები. მაგრამ ჩვენმა პროლეტარიატმა გადალახა ეს დაბრკოლებანი, მან შემოიკრიბა თავის გარშემო ანარქიასთან საბრძოლველათ მთელი ქალაქის დემოკრატია და გლეხობის მოწინავე ნაწილი.

თქვენ, ამხანაგებო, იქნებ გასაკვირველათ დაგირჩეთ ის გარემოება, რომ პატარა ერის პროლეტარიატმა აზიის ბჭეში შესძლო იმ საქმის შესრულება, რომელმაც დამარცხება არგუნა თვალუწვდენელ რუსეთის მუშათა მოძრაობას. მაგრამ ჩვენი პროლეტარიატის გამარჯვება ამ საქმეში აიხსნება ჩვენი ქვეყნის და მუშათა მოძრაობის ისტორიული განვითარების თავისებურობით. საქართველოს პროლეტარიატი ეზიარა კულტურულ, მაქალაქურ ცხოვრებას სოციალ დემოკრატიული პარტიის საშუალებით, სოციალ-დემოკრატიისაგან გაიცნო მან თავისი მიზნები და ისტორიული დანიშნულება და სოც.-დემოკრატიული პარტია დიდი ხანია გადაიქცა მისთვის სკოლათ, სარწმუნოებათ და თვით სამშობლოთ. ოცი წლის განმავლობაში სწარმოებდა საქართველოში მწყობრი საორგანიზაციო მუშაობა სოც.-დემ. პარტიისა. რეაქციის წყვდიადით მოცულ წლებშიაც ჩვენი პროლეტარიატი გაერთიანებული და შეკავშირებული იყო თავის არა ლეგალურ ორგანიზაციებში, რომლის დაშლა დარღვევა, მისი მასიური ხასიათის გამო, ვერავითარმა დევნა შევიწროვებამ ვერ შესძლო.

რუსეთის რევოლუციის დასაწყისს ჩვენი მუშები შეხვდნენ შეკავშირებული პარტიულ ორგანიზაციებში, რომელნიც თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში გამოწრთობილი იყვნენ, რომლებმაც მკვიდრი ტრადიციები შექმნეს მასაში, თავიანთი ქმედით მოიზიდეს მთელი მხარე, და ყველა სოფელში გააჩინეს „იაჩეიკები“. მეორეს მხრით, ჩვენი გლეხობის დიდი ნაწილი, რომელსაც მიწა წყალი მცირე აქვს, ან სრულიად უმიწწყლოა, მჭიდროთ შეკავშირებულია ქალაქთან, სადაც დროებით სხვადასხვა ქირაზე დადის და იმ თავითვე მუშათა კლასის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რადგან ეს კლასი მისთვის ერთად ერთი მონათესავე და მახლობელი კულტურული ძალა იყო ქართველ ერში. დიდი ხანია, რაც ქალაქის დემოკრატიამ აღიარა პოლიტიკური ჰეგემონია სოც.-დემ. პარტიაში გაერთიანებულ მუშათა კლასისა. ამნაირად, მუშათა პარტიამ, რომელმაც დაიცვა სავსებით თავისი პროლეტარული ხასიათი, გახდა ჩვენში სახალხო მასიური პარტია. ყველა ამან შეაძლებინა ჩვენ პროლეტარიატს, ამიერ კავკასიის დაშლის საბედისწერო ჟამს, შექმნა საქართველოში დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც ხალხის ნდობას და მის რეალურ ძალაზე ეყრდნობოდა და ამით შესწევდა ძალა და უნარი ეწარმოებინა საპასუხისმგებლო საგარეო პოლიტიკა მთელი ქვეყნის სახელით.

თუ ჩვენმა პროლეტარიატმა შინაურ პოლიტიკის სფეროში შესძლო წამოყენებული საკითხების საკუთარი ძალებით გადაჭრა, სამაგიეროთ გარეშე პოლიტიკაში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გახდა მისთვის ისეთი გარეშე ძალის გამოძებნა, რომელსაც შეეძლო, როგორც ეს ადვილად რუსეთში ქნა, საქართველოს დახსნა ოსმალთა შემოსევისაგან.

სად უნდა გვეპოვა ჩვენ ასეთი ძალა? ჩვენ ყველგან ვეძებდით შველა, მაგრამ ჩვენი მოწოდება ამაო დარჩა.

შექმნილ ისტორიულ პირობებში ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ჩვენი შველა, გერმანია აღმოჩნდა. ოსმალეთის მახვილი ჩვენი ხალხის მკერდზე იყო მიბჯენილი იმ ხანად, როცა ჩვენ გერმანიასთან ხელშეკრულობა დავსდევით, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი ჩვენს შემდგომს ურთიერთობას. ოსმალებმა, რომელთა ჯარები ოთხი მხრიდან უტევდენ ჩვენს დედა-ქალაქს, გვაიძულეს [illegible] რკინის გზების მათთვის გადაცემაზე. მხოლოდ გერმანიას შეეძლო ამ [illegible] მარყუჟისაგან ჩვენი გამოხსნა, თუ კი ჩვენი რკინის გზების კონტროლს მას გადავცემდით.

ჩვენ ვიცოდით, რამდენათ მძიმე იყო ეს პირობები. ვიცოდით, რომ ის ამცირებდა ჩვენი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას, რომ ამით ირღვეოდა ჩვენი ნეიტრალიტეტი, ვინაიდან მებრძოლ მხარეს საშუალება ეძლეოდა ჩვენს მიწა-წყალზე ჯარის გატარებისა.

მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვებოდა სხვა საშუალება თავის დასაღწევად ოსმალეთის ოკუპაციისაგან. რკინის გზის საკითხში ჩვენი სუვერენული უფლებები უკვე დარღვეული იყო ოსმალეთის ჩვენზე გამარჯვების შემდეგ და ჩვენც გერმანიასთან ხელშეკრულობას მოვაწერეთ ხელი, გადავეცით მათ განკარგულებაში ჩვენი რკინის გზები, მივანიჭეთ მათ ეკონომიური უფლებები, რასაც ისინი მოითხოვდენ, შემოვიყვანეთ ჩვენში მათი ჯარი. სამაგიეროთ მათგან მივიღეთ პირობა—რომ ოსმალეთისაგან დაგვიცავენ და ჩვენს შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან.

ორივე პირობა გერმანიამ აასრულა.

იმ შავ-ბნელ დღეებში, როცა გერმანიის დახმარება ჩვენთვის ყველაზე უფრო იყო საჭირო, ჩვენ ხელი არ აგვიღია გერმანიის იმპერიალიზმის სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გატარებაზე.

მაგრამ ახლა, როცა ამ იმპერიალისტებს თავისი განაჩენი გამოუტანა თვით გერმანიის ხალხმა, ახლა ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენი სვინიდისის წინაშე, დავადასტუროთ ინტერნაციონალის წინაშე, რომ საქართველოში გერმანიის ლაშქარ არ მოსცხებია არც მუხანათობის და არც ძალადობის ჩადენით. მას ბოროტად არ უსარგებლნია ჩვენი ნდობით და თავის ძლიერებით.

ჩვენი შინაური საქმეების მოწყობა პატრონნი ჩვენვე ვიყავით. შევძელით რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება ჩვენს მხარეში. საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმაში ჩავაყენეთ. ვინაიდან მოკლე ხანში შეუძლებელი იყო ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების მოხდენა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევათ, ჩვენ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგის მიხედვით შევადგინეთ საქართველოს დროებითი პარლამენტი, ყველა პარტიებისა და ეროვნებათაგან, რომლებიც კი საქართველოში მოსახლეობენ. ამ პარლამენტში გამოიმუშავა კანონი საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევისა, რომელიც არჩეული იქნება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო სისტემით და პროპორციონალური წარმომადგენლობის პრინციპით. ასეთივე საარჩევნო კანონის თანახმად ჩვენ შევქმენით ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოები. ჩვენ გავაუქმეთ მემამულეთა საკუთრება მამულებზე და მიწები გადავეცით მშრომელთ, დავაწესეთ ფართო მუშათა კანონმდებლობა, შევუდექით ცხოვრებაში ფართე პროგრამით ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც მიმართულია ხალხის კულტურულ და ფიზიკურ წარმატებისაკენ.

რაც უნდა აუტანელი იყოს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, ჩვენ ხალხს მაინც აქვს საშუალება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჭერ-ქვეშ შეიფაროს ბევრი მრავალ ლტოლვილთ, რომლებიც ომმა, რეაქციამ და ანარქიამ გამოჰყარა მეზობელ ქვეყნებიდან. ამჟამად, 300 ათასამდე ლტოლვილთა სულები ჰპოვა თავშესაფარი საქართველოში.

საკუთარ ფეხზე დამდგარი ჩვენი ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკა სამი უმთავრესი ძალის მტრული შეტევების საგანს შეადგენს დღესაც. ეს ძალები მის საზღვრებთან დგანან და მზათ არიან ცეცხლითა და მახვილით თავს დაესხან ჩვენს ქვეყანას.

ჩვენზე თავდასხმისათვის ყველაზედ მზათაა ოსმალეთი, რომლის ლაშქრისაგან გერმანიის ჩარევამ დაგვიხსნა.

მზათ არიან ჩვენს რესპუბლიკის საზღვრებში შემოსაჭრელათ ბოლშევიკები, რომელთათვის საქართველოს რესპუბლიკა [illegible] შეიქნა მიტომ, რომ [illegible] ერთი ქვეყანა დარჩა [illegible] რომელმაც არ სცნო მათი [illegible] რომელმაც ბოლომდე შეინახა [illegible] რევოლუციის [illegible] ლოზუნგებისა. [illegible] რევოლუციის [illegible] არა ნაკლები მძლავრობით [illegible] რუსეთის კონტრ-რევოლუციონერები [illegible] ლები, რომლებიც რუსეთის [illegible] შეკრების სახელით ამზადებენ ნიადაგს მეფის დესპოტიზმის აღსადგენათ. მათ სძულთ საქართველო, როგორც თავისუფლების ქვეყანა, რომელსაც სოციალისტები განაგებენ.

ოსმალეთი, ბოლშევიზმი, რუსეთის კონტრ-რევოლუცია,—თითოეული ამ ძალთაგანი, თუ კი საქართველოზე გაიმარჯვა, მოუტანს მას მონობას, დანგრევას, დაღუპვას.

ჩვენ კვლავ ცეცხლის ალის წრეში ვართ მომწყვდეული, როგორც ამ 120 წლის წინეთ ვიყავით.

ერთად ერთი გამოსავალი გზა ამ წრიდან, ერთად ერთი საფარველი ჩვენთვის ყველა ამ საშიშროების წინააღმდეგ—მუშათა ინტერნაციონალია.

თქვენ, ინტერნაციონალის წარმომადგენელთ, მოგმართავთ საქართველოს პროლეტარიატის და ქართველი ხალხის სახელით.

რევოლუციის ქარიში გამოსჭედა ჩვენმა ხალხმა თავისი სახელმწიფო და მან გადასწყვიტა ბოლომდე მთელი თავისი ძალ-ღონით დაიცვას ამ დემოკრატიულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ამაში ჰხედავს ის ერთად ერთ საშუალებას თავის არსებობის შენარჩუნებისა და კულტურული განვითარებისა.

ისახავს მიზნათ თავისუფლებას და მუდმივ მშვიდობიანობას თავის შინაურ და გარეშე პოლიტიკაში. ჩვენი ხალხი მოგმართავთ თქვენ, მთელი ქვეყნის პროლეტარების წარმომადგენლებო: ის მოწადინებულია ხელიხელ ჩაკიდებული იმუშაოს სხვა ერებთან ერთად სამართლიანობის უკვდავი იდეალების განხორციელებისათვის. თქვენგანის მოელის მხარის დაჭერას და შველას,—თავისი დამოუკიდებლობის დადასტურებას და მუდმივი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას“.

დედანს ხელს აწერენ: საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მინდობილობით **ნ. ჟორდანია, ნ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი და ივ. გობეჩია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწვარნი დედა ნინო, ძმები: რაჟდენ, გრიგოლ და ლევან, მეუღლე ვარო, რძლები ეკატერინე და დარო მირიანაშვილები, დაი ანნა და სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიმამრი ნიკა და სიდედრი ანნა კარდენახლიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, გიორგობისთვის 3-ს, დიდუბის ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ნიკოლოზ მალაქიას ძის მირიანშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 ზე. (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ილია, ეზეკია, ამბროსი და გაბრიელ არჩილის ძენი ჩხიკვიშვილები, და—ტატიანა დათუნაიშვილისა, რძლები: ელე და ფრესინე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 ნოემბერს, ს. საყვავის ტყეში (გურია) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილ

ჭიჭიკო (აკაკი) არჩილის ძე ჩხიკვიშვილის

სულის მოსახსენებლად.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ვალენტინა დიმიტრის ასული, შვილები: მარო და შოთა, დები: ელისო და ევა, ძმები: გიორგი და მელიტონ, ბიძა სტეფანე, მიცოლები: ვერიჩკა და ვარა ლომთაძეები, ცოლისძმა ვასილ ჯაფარიძე, მამიდის შვილები: ვლადიმერი, პართენი და პოლინე ქარაზანიშვილები და ნათლია დანიელ სამარგულიანი ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ ორშაბათს, 4 ნოემბერს 10 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

ბართლომე ბასილის ძე ლომთაძის

სულის მოსახსენებლად.

უბედური დედ-მამა ათანასე ვასილის ძე ქვათაძე და თამარა ნიკოლოზის ასული ქვათაძისა შვილით ვლიკოთი აუწყებენ მეგობრებს, ნათესავებს და უდროვოთ დაღუპულ შვილის სკოლის პატარა ამხანაგებს, რომ დღეს, 3 ნოემბერს გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი სათავად-აზნაურო გიმნაზიის პირველი კლასის მოწაფის ჯერ სიცოცხლით გაუმაძღარ

შალვა ათანასეს ძის ქვათაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლეს[illegible]ში დილის 10 საათიდან, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

გიორგი ქაიხოსროს ძე ჯაფარიძე გამოუთ[illegible]ლი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ [illegible] უდროოდ გამოესალმა წუთისოფელს მისი ძვირფასი ბიძაშვილი [illegible] და საუკეთესო მეგობარი, გორის მაზრის სახალ[illegible] სკოლების ინსპექტორი

ვასილ [illegible]ხეილის ძე ჯაფარიძე

პანაშვიდები ყოველ [illegible], საღამოს 6 ს. ნიკოლოზის ქუჩა, 45. 1—1

გულდამ[illegible]კარი მეუღლე ოლღა ალექსანდრეს ასული და შვილი მისი ვალოდია ჯ[illegible]ფარიძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ პა[illegible]სკევს, 1 ნოემბერს გარდაიცვალა გორის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი

ვასილ (ვასო) მიხეილის ძე ჯაფარიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა, 45. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ დილის 10 საათზე.

უსაზღვროდ დამწუხრებული ძმები: ივანე, გრიგოლი, ვიქტორი და ლევან მიხეილის ძენი ჯაფარიძენი უღრმესი გულის ტკივილით აცხადებენ, რომ პარასკევს, 1 ნოემბერს გარდაიცვალა

ვასილ (ვასო) მიხეილის ძე ჯაფარიძე

გორის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 6 ნოემბერს ნიკოლოზის ქუჩა, № 45. 1—1

ხიდის აფეთქება

ამ დღეებში ძეგვის ხიდი ააფეთქეს რკინის გზაზე. მართალია აფეთქება ძლიერი არ გამოდგა და ხიდი სრულ განადგურებას გადარჩა, მისი შეკეთება და მოძრაობის აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ მიზანს რომ მიეღწიათ ბოროტ-გამზრახველთ, და ეს ვეებერთელა ხიდი ერთიან წყალში ჩაეყარათ, თფილისი დიდი ხნით მოსწყდებოდა პროვინციებს და ჩვენი მდგომარეობა მრავალი მხრით სახიფათო შეიქნებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი ჯერ კიდევ რყევაშია. გარედან მრავალი მტერი მოგვჩერებია დაღრენილი კბილებით. შინ აუარებელი მოძალე და ავანტიურისტი გვირევია ჩვენი ქვეყნის დაქცევის მოსურნე.

ძეგვის ხიდის აფეთქება არ არის შემთხვევითი მოვლენა, ის არ არის კერძო ბოროტ-მოქმედის საქმე. ყველაფერი გვიჩვენებს, რომ აქ შეკავშირებული ძალა მოქმედებს, და განსაზღვრული მიზნით ხელმძღვანელობს. ეს მიზანი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული და ჩვენ ვიცნობთ ამ მიზნის მატარებელთ. ზოგი მათგანი პრესაში მოღვაწეობს და თავისუფლებით კრილოვის ერთი ცნობილივით ბოროტათ სარგებლობს, იმ ხეს უთხრის ძირს, რომლის ნაყოფითაც სულს იბრუნებს. ზოგნი საწყობებს და ასაფეთქებელ მასალებს ინახავენ თვით ჩვენს დედაქალაქში და როდის, რისთვის გამოიყენებენ, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. არიან ისეთებიც, რომელთაც თვალი და გული ალექსეევების მოხალისეთაკენ უჭირავთ და მათი ტყვიით ჩვენი დემოკრატიის დამხობაზე ოცნებობენ.

ჩვენ არ ვიცით, რომელი ძალათაგანი იყო მომქმედი ამ ბოროტ-მოქმედებისა, რკინის გზაზე. ეს გამოძიებამ უნდა გამოაჩინოს და დამნაშავეთ შესაფერი სასჯელი გაუჩინოს, მაგრამ ერთი ჩვენთვის აშკარაა.

მტრული განწყობილება და მტრულად განწყობილნი ჩვენი რესპუბლიკისადმი, რომელიც დემოკრატიამ შექმნა თავის სისხლით და შრომით, როგორც საყდარი და თავშესაფარი, შეადგენენ ნიადაგს, წყაროს, სათავეს სადაც იბადება და საიდანაც გამომდინარეობს ყოველი შეთქმულება, ავანტიურა, ბოროტება ჩვენი ნორჩ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ლმობიერება და დემოკრატიზმი სინონიმებია. ჩვენი მტრები დარწმუნებული არიან თავის ბოროტების დაუსჯელობაში.

მაგრამ ლმობიერება—არ უნდა გადაიქცეს სისუსტეთ და უმოქმედობათ. ცხვარი რომ ცხვარია, თუ გაცხარდა, ისიც კი ცხარეა.

დემოკრატია ყველას ანიჭებს თავისუფლებას, მარა მით უმეტეს უნდა სისასტიკით მოექცეს ამ თავისუფლების ბოროტათ მომხმარებელთ, განსაკუთრებით მათ, ვინც დემოკრატიის ნგრევას ლამობს.

რაც ამდენ ტანჯვით შეგვირჩენია და მოგვიწყვია,—ჩვენი თავისუფლების მცირე ტაძარი—ჩვენი ნავთსაყუდელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა—მძლავრ და შეუპოვარ დამცველს პოვებს საქართველოს დემოკრატიაში, განურჩევლათ ეროვნებისა.

ვერავითარი დემოკრატიული ფრაზეოლოგია შოვინისტურ პარტიების და ჯგუფებისა ვერ შეაფერხებს იმის გაგებას, ვინაა მტერი და ვინ მოყვარე.

დემოკრატია ფხიზლათ დარაჯობს თავის მონაპოვარს და ლმობიერებას იგი რისხვით შესცვლის თავზე ხელაღებულ მტრებისადმი, რომელნიც ასე მოურიდებლათ და სისტემატიურათ ესხმიან თავს მის სამკვიდრებელს.

დემოკრატიული მთავრობა ვალდებულია განსაკუთრებით ფრთხილად იყვეს ამ ხანათ, როცა გერმანიის ჯარის წასვლამ იმედის ფრთები შეასხა ჩვენს მოწინააღმდეგეებს.

დემოკრატიის მთელი ძალა უნდა მივცეთ მთავრობის განკარგულებაში და თან მოვსთხოვოთ მკაცრი და სასწრაფო ზომები ავანტიურისტების და ცხოვრების ამრევი ელემენტების ასალაგმავათ. ახლა გვჭირდება და ახლა ველით კიდეც მთავრობის სიფხიზლეს და საქმიანობას.

პ რ ე ს ა

„შრომას“ ძალიან შეუყვარდა სხვის აზრებში წინააღმდეგობის აღმოჩენა: ალბათ ამით ფიქრობს თავისი უპრინციპობის დაფარვას. მის მეპრესეს ამოუწერია „ერთობიდან“ ზავის შესახებ ის ადგილი, რომელიც აღნიშნავს დემოკრატიის მოსალოდნელ გამარჯვებას და დასძენს:

„ამ დღეებში კი „ერთობა“ გვიმტკიცებდა: საერთაშორისო დემოკრატია ვერ გაიმარჯვებს, იმპერიალისტურ გერმანიას ვერავინ დაამარცხებსო. ასე ჩემო.. არა“?!

სადაან გამოიყვანა „შრომამ“ ასეთი დასკვნა, როცა ჩვენ სულ [illegible] ვწერდით: ჩვენ [illegible]დაპირებდით ერთმანეთს გერ[illegible]იის დემოკრატიას და ინგ[illegible] საფრანგეთის იმპერიალისტებს და ვაცხადებდით, რომ გერმანიის, ე. ი. მის დემოკრატიას, იმპერიალისტები ვერ დაამარცხებენო! ასე იცის, ასე ჩემო... როცა რუს სომეხ იმპერიალისტების ფეხის ხმას აჰყვები და ფიქრობ, რომ არსებობს ქვეყანათ მხოლოდ გერმანიის იმპერიალიზმი.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ვისაც იუპიტერი გაუწყრება, ჰკუას წაართმევსო!

* * *

ჩვენი თანამემამულე ლევან ყიფიანი არ ისვენებს. რაკი მის მოღვაწეობას უარყოფით შეხვდით, ფიქრობს რომ დიდი მასშტაბის მოღალატეთ თვლიან მას და „კავკაზსკოე სლოვოში“ ასეთი წინასიტყვაობით იწყებს თავის წერილს:

„რაც არ უნდა თქვან ჩემმა თანამემამულეებმა ჩემს ვითომდა მოღალატურ დამოკიდებულებაზე ახალგაზრდა საქართველოს აღმაშენებლობისადმი, მე სინდისი ნებას არ მაძლევს არ აღვიმაღლო ხმა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების იმ სამწუხარო მოვლენების წინააღმდეგ, რომელიც ამ აღმშენებლობას ვნებს“.

და ბ. ლევან ყიფიანი ურჩევს ჩვენს მთავრობას მოიქცეს ის დინჯათ, ე. ი. სამართლიანად და არ დაჩაგროს სხვა ერი და მისი კულტურა.

უნდა მოვახსენოთ ბ. ლ. ყიფიანს: ჩვენ მას ვუცქერით ისე, როგორც კალმით მოვაჭრეს; არ ვთვლით მას მაინც და მაინც მოღალატეთ და შეუძლია დამშვიდებით იყოს და თავისი „მოღვაწეობა“ განაგრძოს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

2 ნოემბერი.

ოსმალეთის ცნობა.

სტამბოლი. 30 ოქტომბერს დროებითი ზავის ჩამოგდების გამო ყველა ფრონტზე ბრძოლა შეწყდა.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში მტერმა განაახლა იერიშები. ჰოლანდიის საზღვარსა და ლიენსეს შუა, ლისის ფრონტზე, საფრანგეთის ჯარმა ჩვენ სიმაგრეებზე იერიში მოიტანა. შლენიარის დასავლეთ ნაპირზე, ვიშერგანის ორივე მხარეზე, კონტრ-იერიშით დავიბრუნეთ დროებით დაკარგული პოზიცია (პონტ დე ტიტ). დანარჩენ ფრონტზე მტრის იერიში მოვიგერიეთ. ლიენსეს და შელდის შუა ინგლისელებს და ფრანგებს ძლიერი იერიში მოუწყვიათ. ლიენსეს სამხრეთით გვარდიის მე 2 დივიზიამ და ფუზილერის მე 80 პოლკმა მტერს დაახევინა ლიენზე-კრუშუნდეს გზატკეცილზე. ლიენზეს ორივე მხარეზე ჩვენმა არიერგარდებმა საარტილერიო პოზიციების წინ მტერი შეაჩერეს. კორტრიკ-უჯარდეს რკინის გზის ჩრდილოეთით მომქმედი ჩვენი ჯარი, რომელმაც მტერს უკან დაახევინა, დღის განმავლობაში კოკორეს მაღლობებზე გადმოიყვანეთ მეზობლათ მომქმედ ძალებთან კონტაქტის შესანარჩუნებლათ. საღამოზე ბრძოლა დაიწყლდა დეინზე-კრუშუნდენის გზატკეცილის დასავლეთით და კოკორე-კორეკეს ხაზის მაღლობებზე, ეს იგი ჩვენი წინანდელ სადარაჯოებს ხაზზე, 1 3 კილომეტრით აღმოსავლეთით. შელდის ველზე მტერი განაგრძობს დაბა სოფლების განადგურებას. ინგლისელები ზარბაზნებს უშენენ ქალაქებს: ტურნეს, ვალანსიენს და პერუველცს. ლეკუესა და ლანდრეცის ორივე მხარეზე საარტილერიო და მზვერავთა მოქმედება გაცხოველდა.

გერმანიის კრონპრინცის არმია. ენის მაღლობებზე, შატო პორსიენის ჩრდილო დასავლეთით საარტილერიო ბრძოლა საშინლათ გაძლიერდა. ახალი ძალებით მტერი განაგრძობდა ძლიერ იერიშებს ზერტის ჩრდილო-დასავლეთით. იერიშებმა მტერს უნაყოფოდ ჩაუარა და დიდი ზარალი მიაყენა. ამ ბრძოლების სიმძიმე გადაიტანა და მტერი მოიგერია მეკლენბურგის მე-89 პოლკმა, მე 75 ქვეითი პოლკმა, მე 5 დივიზიის მე-230 და 231 პოლკებმა. უკანასკნელ ბრძოლებში ისევ ისახელა თავი გვარდიის მე 8 და გუსართა მე 11 პოლკებმა.

გალვიციის არმია მაასის სამხრეთ ნაპირზე მთელი დღის განმავლობაში არტილერია მოქმედებდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი.

გერმანიის ჯარი დაბანაკდა მდინარე დუნაის სამხრეთ ნაპირზე, ბელგრადისა და სემენდრიის ორივე მხარეზე. დუნაიზე გადასვლის დროს მტერს ხელი არ შეუშლია.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 1 ნოემბ. საღამოს სამხედრო ცნობა. ლისის ფრონტზე, ლეინზეს სამხრეთით, მდგომარეობა უცვლელია. ლეინზეს სამხრეთით ჩვენ დავიხიეთ შელდისაკენ და ამით ავიცდინეთ მტრის [illegible]. ვალენსიენის სამხრეთით კონტრ-იერიშით შევაჩერეთ ინგლისელთა ძლიერი იერიში. ენის ფრონტზე და არგონებსა და მაასის შუა ძლიერი ბრძოლებია. ენის მაღლობებზე, შატო პორსიენის ჩრდილო-დასავლეთით და ვუზიერის ორივე მხარეზე ფრანგების იერიშებმა ვერ გაიმარჯვა და მტრის ჩვენ ხაზებში შემოჭრა კი ადგილობრივი ხასიათისა იყო. ამერიკელების იერიშები შამპინელ ბალონვილ-ენკრევილს ხაზზე შევაჩერეთ.

იტალიის ფრონტი.

ვენა. 1 ნოემბ. სამხედრო ცნობა. ვენეციის ველზე ჩვენი ჯარის საევაკუაციო ხასიათის გადაჯგუფება გრძელდება. სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დუნაის ჩრდილოეთის ნაპირს მიაღწია.

დასავლეთის ფრონტი.

ლიონი. სამხედრო ცნობა. გერმანელების რამოდენიმე კონტრ იერიში სენფილეს გორაკის წინააღმდეგ უნაყოფო გამოდგა. ამ სექტორში ორი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა 1,500-ზე მეტი ტყვე წამოიყვანა. ფრანგთა და ბელგიელთა ნაწილებისაგან შემდგარმა საარმიო ჯგუფმა და ბრიტანიის მე 2 არმიამ ფლანდრიაში ხუთშაბათს დილით იერიში განაახლა და გოზელ-დრიხტეგენ-ხუტ-გიგენზერეგესკენ მიმართულებით მიზან მიაღწია. მარტო ბრიტანელთა ჯარმა 1000 კაცი წამოიყვანა ტყვეთ.

იტალიის ფრონტზე

ავსტრიელთა შორის სრული დეზორგანიზაციაა. პიავა მთლიანათ გადალახულია იტალიელთა, ფრანგთა, ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ. მტერს 300 ზე მეტი ზარბაზანი წავართვით და 50000 ზე მეტი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ამ აუნაზღაურებელმა ზარალმა აიძულა ავსტრია დაუყოვნებლივ ეთხოვა დროებითი შერიგება.

მოსკოვი. ც. აღ. კ. მეკავშირე ბიუროს ბიულეტენი. სლავონიაში უწესოება ძლიერდება. ქალაქი ნისიცი იწვის. მეამბოხენი დაარბიეს. დეზერტირები სოფლებს არბევენ და სწვავენ. რკინის გზებზე მიმოსვლა შესწყდა. ჰუნგრელებმა ქალაქი ფიუმე ვერ შეინარჩუნეს, ხორვატებს გადასცეს. ჰუნგრეთ ხორვატიის საზღვარზე აღელვება ძლიერდება. ჰუნგრეთის მცხოვრებნი შიშობენ, რომ ხორვატები შემოესევიან ჰუნგრეთის ტერიტორიას და დამცველ ჯარს თხოულობენ. ზაგრებიდან იუწყებიან, რომ მთებში სავოისა და დრავის შუა რამდენიმე ათასი დეზერტირია თავმოყრილი. დეზერტირები სძარცვავენ ქალაქებს და სოფლებს და აჩერებენ სურსათით დატვირთულ მატარებლებს, დეზერტირებს შესანიშნავი ორგანიზაცია აქვთ. ზაგრების ვაჭრები და ბანკირები შიშობენ, რომ დეზერტირები ქ. ზაგრებში შემოვლენ. ვენა. ავსტრიის გერმანელთა ეროვნულმა კრებამ შეიმუშავა დროებითი კონსტიტუცია: მართვა-გამგეობის უფლება გადაეცემა სამ პრეზიდენტისა და 20 წევრთაგან შემდგარ აღმასრ. კომიტეტს. ამ კომიტეტმა გაუგზავნა ვილსონს ნოტა, სადაც აუწყებს, რომ შესდგა დამოუკიდებელი გერმანული ავსტრიის სახელმწიფო, რომელსაც საზავო მოლაპარაკების დროს საკუთარი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს. პრაგა. ჩეხიის მთავრობამ გამოაქვეყნა ჩეხიის სახელმწიფოს კონსტიტუცია. სტამბოლი. სეპარატიულ საზავო მოლაპარაკებას ოსმალეთი ორ ადგილას აწარმოებს: ბერნში და კუნძულ მიტილენაზე. მოლაპარაკებაში შუამავლობს ინგლისელი გენერალი რუანსენდი. რომი. აქ შეკრებილი სომხეთა წარმომადგენლები დამოუკიდებელ სომხეთის დაარსების სასარგებლოთ აგიტაციას ეწევიან. ბერლინი. პლოცკის მიდამოებში და პოლონეთის სხვა ქალაქებში მღელვარებაა რეკვიზიციების გამო. იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციამ ისროლა, ადმინისტრაცია მასიურ დაპატიმრებას ახდენს. ხარკოვი. საზღვაო მინისტრი მაქსიმოვი უარჰყოფს ხმებს შავ ზღვაში ინგლის-საფრანგეთის ესკადრის შემოსვლის შესახებ. მისი აზრით ეს ხმები ფანტაზიის ნაყოფია. ხარკოვი. სამხედრო სამინისტროს ცნობით სტაროდუბის რაიონში უკრაინელ სამხედრო ნაწილებისა და მეამბოხე ბოლშევიკებ შორის შეტაკებები მკაცრ ხასიათს ღებულობს. მეამბოხენი სტაროდუბს და სოფელ ვეჩკის მძიმე ზარბაზნებიდან უშენენ.

ოსტროგოჟსკი. ხარკოვში შესდგა სრულიად რუსეთის ეროვნული კავშირი, რომელიც თავს უყრის რუსეთის შავრაზმელებს. მოელიან კავშირის ბლოკს კადეტებთან. კავშირის მიზანია—სოციალისტურ მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლა. მოსკოვი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მოგილიოვიდან დეპეშა მიიღო, რომ ორშა მოგილიოვიდან გერმანელებმა გაზიდეს ვაგონები, ორთქლმავლები და რკინის გზის ქონება. ტაშკენტი. თურქესტანში აღმოაჩინეს ინგლისელთა ფულით მოწყობილი კონტრრევოლუციონური ორგანიზაცია, რომელსაც ხ[illegible]ლობდა პეტროგრა[illegible] ყოფილი ქალაქის უფროსი ჯუნკოვსკი. ამ ნიადაგზე მრავალი დაატუსაღეს. სამარა. ყოფილ საკომენდანტო სამართველოში აღმოაჩინეს საიდუმლო ოთახი, სადაც ხვრეტდნენ. ოთახის კედლებზე დახვრეტილთა წარწერებია. იატაკი დაცხრილულია ტყვიებით. მოსკოვი. კიევიდან სარწმუნო წყაროდან საბჭოთა მთავრობას ატყობინებენ შემდეგს: კრასნოვის მთავრობა, ყუბანის მთავრობის თანხმობით, საიდუმლო მოლაპარაკება აწარმოებს მოკავშირე სახელმწიფოებთან. ინგლისის დელეგატმა განუცხადა კრასნოვს, რომ მოკავშირეთ აზრათ აქვთ კოალიცია შეადგინონ ბოლშევიზმთან საბრძოლველათ. მოკავშირენი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ცენტრალურ რუსეთში ბოლშევიკური მთავრობა ჩამოაგდონ. ინგლისის დელეგატის რჩევით კრასნოვმა წინადადება მისცა გერმანიის მთავრობას შეერთდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობა კრასნოვს და თეთრ-გვარდიელთა ორგანიზაციებს ყოველთვიურ დახმარებას დაჰპირდა. კრასნოვმა გერმანიასაც სთხოვა ფულით დახმარება. მისი დელეგატები ჩავიდნენ გერმანიის მთავარ ბანკში, საიდანაც იუწყებიან, რომ მთავარი ბანკი პრინციპიალურათ დახმარების მომხრეა. მოსკოვი. საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართა ნოტით დაჭერილ ადგილებში თეთრ-გვარდიელთა ჯარის ორგანიზაციის გამო. ნოტა მოითხოვს, შესწყდეს უკანასკნელთა ორგანიზაცია და დაჭერილი ადგილები საბჭოთა რესპუბლიკას გადაეცეს. სიზრანი. სიზრანის ხიდის აღსადგენათ ვოლგაზე აკეთებენ ბორანს, რაზედაც რკინის გზა გაჰყავთ. სამარა. რვა დღის განმავლობაში 32 საბარგო გემი ჩავიდა 8 მილიონ. ფუთი ნავთით დატვირთული. 13 მილიონი ფუთი დანიშნულია გასაზიდათ, სხვა სამარაში დარჩება. ლიონი. გაზეთები აღნიშნავენ ოსმალეთის კაპიტულიაციის მნიშვნელობას, როგორც ევროპის ომის დასრულებისათვის, ისე აღმოსავლეთის მომავლისთვის. „პტი პარიზიენი“ განიხილავს რა ერთსა და იმავე დროს წარსულსა და მომავალს ამბობს, რომ აღმოსავლეთში გერმანელების გაბატონების გეგმა დამარცხდა.

გერმანული პრესა

გერმანელთა და ბოჰემელთა დეპუტატები ქვედა ავსტრიის ტერიტორიაზე შეიკრიბნენ და შეადგინეს გერმანულ ბოჰემიისთვის დროებითი კონსტიტუცია, რომელიც იმოქმედებს გერმანულ ავსტრიის კონსტიტუციის შესწორებამდე და მისი მართვა-გამგეობის დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობამდინ. ბოჰემიის გერმანელ დეპუტატების ყრილობა ამის გამო შეადგენს გერმანულ ბოჰემიის დროებით ლანდტაგს—დროებითი ეროვნული წარმომადგენლობა იმუშავებს ქალაქ რეიხენბერგში. დროებითი ლანდტაგი თავის წრიდან გამოჰყოფს ეროვნულ კომიტეტს და ეროვნულ მთავრობას უმაღლესი მმართველის მეთაურობით. კონსტიტუცია გულისხმობს გერმანულ ბოჰემიისთვის სახალხო თავდაცვის დაარსებას. უმაღლეს მმართველად არჩეულ იქნა გერმანულ ბოჰემიის ყრილობის თავმჯდომარე პახერი. მას დაევალა დაუყონებლივ შეუთანხმდეს აღმასრულებელ კომიტეტს. გერმანულ ბოჰემის მმართველის საქმეები ჩაიბაროს ამ ოლქის ეხლანდელ მმართველობისაგან. მხარის მცხოვრებთა ეროვნულ[illegible] უმაღლესი მმართველი უნდა შეუთანხმდეს ჩეხელთა წარმომადგენლებს, დამოუკიდებლათ საბოლოოთ მოწესრიგებამდე. განსაკუთრებულ მმართველობის შემოღების შესახებ ბუდაპეშტში მინისტრ პრეზიდენტათ დაინიშნა გრაფი იოჰან ხადიკი.

საქართველოს გარეშე

„სკორბ არმენიი“.

ამ სახელწოდებით დონის როსტოვში გრ. ჩალხუშიანის რედაქტორობით გამოვიდა ერთი დღიური გაზეთი.

სომხეთის მწუხარების, ტანჯვა-წვალების სათავე მუდამ ოსმალეთი იყო.

ამას გვეუბნებოდნენ სომხის ხალხის მესვეურები, ამასვე მოგვითხრობდნენ სომხის ხალხის ლტოლვილნი, რომელნიც ოსმალეთიდან ჩვენში მოეშურებოდნენ თავის შესაფარებლათ.

გულდასმით წავიკითხეთ ზემოხსენებული გაზეთი და აი რა აღმოჩნდა: სომხეთის მწუხარების, მისი ტანჯვის სათავე საქართველო გამხდარა!..

ყველა ის წერილები, რომლებიც საქართველოს მიერ „სომხების შევიწროებების“ შესახებ დაწერილა, ამ გაზეთისთვის იმის მასალად გამხდარა, თუ როგორ დასტანჯა პატარა საქართველომ სომხის ხალხი!

საქართველოს წინააღმდეგ გაბოროტებულ კალმებსაც დიდი პირდაპირი დახმარება აღმოუჩენია ამ გაზეთისთვის...

საქართველომ უღალატა რუსეთს, საქართველომ გაჰყიდა სომხეთი, საქართველომ სომხის ხალხს ბრძოლის უნარი დაუკარგა ოსმალეთთან ომის დროს, საქართველომ არ შეიფარა სომეხი ლტოლვილები, აწვალა და ამოჟლიტა ისინი... აი, მთავარი აზრი იმ წერილებისა, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსეთში გამოცემულ გაზეთში!

რა საბუთის ძალით, რომელ ცნობებს ეყრდნობიან სომხის ნაციონალისტები, როცა ასე გაბოროტებით სწერენ?

სხვა საბუთთა შორის ყურადსაღებია ერთი საბუთი, ლევან ყიფიანის მიერ ადგილობრივ „კავკაზსკოე სლოვოს“ საშუალებით მიწოდებული.

თუ რას სწერდა ლევან ყიფიანი და რას სწერს ის „კავკაზსკოე სლოვო“-ში, საზოგადოებას კარგათ მოეხსენება, შესაფერისათაც არის მისი „მოღვაწეობა“ შეფასებული!

ლევან ყიფიანის გადაბეჭდილ წერილს კი ასეთი წინასიტყვაობა აქვს წამძღვარებული:

ქართველის ხმა საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ.

ზნეობრივი კმაყოფილების ღრმა გრძნობით ვბეჭდავთ „კავკაზ. სლოვოს“ მე-151 ნომრიდან მშვენიერ სტატია-აღსარებას ცნობილი ქართველი ჟურნალისტის ლევან ყიფიანისა. როცა ის თავის მგზნებარე სტრიქონებს სწერდა, მან არ იცოდა იმ ცნობილი ძალადობის შესახებ, რომელიც სოფ. დედოფლის წყაროში იქნა ნახმარი სომეხ-ლტოლვილთა წინააღმდეგ, არც ის უწყოდა, თუ როგორ გაანადგურა ქართველმა ჯარმა სოჰაში სომხეთა ეროვნული საბჭო. ჩვენ ყოველთვის ვფიქრობდით, რომ ქართველი ხალხი, ქართველი ხალხის მასსა არ შეიძლება იყოს მონაწილე ყველა იმ სისაძაგლისა, რაც საქართველოში ხდება და ბ. ყიფიანის კეთილშობილური გრძნობით სავსე სიტყვა ჩვენ, სომხებს გვიმტკიცებს ამას და გვარწმუნებს ამაში. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ ლევან ყიფიანის მაგალითს მიჰბაძავს ყველა პატიოსანი ქართველი და სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ ყველა ამ შოვინისტ-ნაციონალისტებს, რომლებიც თავიანთ სამშობლოს, მშვენიერი საქართველოს დიდებას ხედავენ სხვა ერების დამცირება უბედურება - შეურაცხყოფა-გაბახებაში და ამ ერების ხარჯით ეწევიან ახალი სახელმწიფოს შენებას“.

ამ ამონაწერის შესახებ ჩვენ არაფერს ვიტყვით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ერთად ერთი „პატიოსანი ქართველი“ ბ-ნმა გრ. ჩალხუშიანმა და მისმა კომპ. მაინც ჰპოვა საქართველოში ლევან ყიფიანის სახით და იმედს გამოსთქვამენ, რომ ასეთი „პატიოსნები“ საქართველოში ბლომად გამოჩნდებიან..

არა გვგონია, რომ ჩალხუშიანის და კომპ. საზომი პატიოსნებისა ჩვენში გამოსადეგარი შეიქნეს!..

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ნ. რამიშვილის ავათმყოფობა. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი რამოდენიმე დღე მძიმეთ იყო ავათ. ექიმობენ ივ. გომართელი და ვირსალაძე. ექიმების სიტყვით ავათმყოფი ეხლა უკეთ არის და ამ დღეებში სრულიად განიკურნება.

◆ **აფთიაქებში.** შრომის სამინისტრომ აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მისი წინადადება აფთიაქებში მუშაობის გაძლიერებაზე აცნობეს ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირს, რომელმაც თანხმობა განაცხადა, როგორც

უშაობის დროს გაგრძელების შესახებ, სე, შემოიღონ ღამის მორიგეობა ყველა ფთიაქებში.

◆ **ტყიბულის მაღაროების** გამგე ინჟინერი აბაშიძე ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ მთავრობის წარმომადგენლების მუშებთან მოლაპარაკებამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია და მუშები განაგრძობენ გაფიცვას. საქმის ახალ საფუძველზე დაყენებისათვის საჭიროა 1 ნახევარი მილიონი მანეთი.

◆ **ნაციონალიზაცია სამხედრო სამინისტროში.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ ორშაბათიდან სამხედრო სამინისტროში აუცილებლად ქართულ ენაზე დაიწყოს საქმის წარმოება.

◆ **კაცის გატაცება.** ოქტომბრის 31-ს, რამეტ თიბერელის ქუჩაზე ბოროტ-მზრახველებმა მოტყუებით სახლიდან მოიხმეს და ხოჯივანქის სასაფლაოსკენ ტაცეს მოქალაქე იაკუბოვი.

◆ **სამართალში მიცემა.** მილიციის როსმა სამსახურიდან დაითხოვა და ართალში მისცა სამსახურის დროს ენილ ბოროტ-მოქმედებისათვის მე- უბნის კომისრის თანაშემწე არო-ძე და უფროსი მილიციონერი ხუნდაძე.

◆ **სამსახურიდან დაითხოვეს** მილიციის უფროსის კანცელარიის საქმეთმმართველი დარახველიძე.

◆ **სამხედრო მინისტრის** მეორე თანაშემწედ დაინიშნა გენერალ-მაიორი ვანი.

◆ **სისხლის სამართლის მილიციაში.** ლიციის უფროსმა დაათვალიერა სისხლის სამართლის მილიციის საქმეები, ც სრულიად არევ-დარეული აღმოჩნდა. მაძებრობის საქმე მთლად მიტოვებული ყოფილა. მილიციის მოსამსახურენი არცკი ესწრებოდენ თანამდებობის საქმეთა აღსრულებას. ამის გამო მილიციის უფროსმა ბევრი მოსამსახურენი დაითხოვა.

◆ **ექსკურსიები.** საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭომ დაადგინა მოაწყოს მოწაფეთათვის მთელი რიგი ექსკურსიებისა, როგორც თფილისში, ისე მის გარედაც. მოწაფეებმა ამ დღეებში დაათვალიერეს არსენალი.

◆ **დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი".** დღეს, კლუბთან არსებულ ქართულ წარმოდგენათა მმართველი წრე მართავს მორიგ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე". ბილეთები სახალხოა. დასაწყისი 8 საათზე.

◆ **სახალხო სახლი.** ორშაბათს, 4 ნოემბერს სახალხო სახლში წრის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება: 1) მაღაროს უფროსი მუშა 2) რაც გინახავს ველარ ნახავ.

◆ **თათბირი.** დღეს საღამოს 6 საათზე სასახლეში შრომის სამინისტრო იწვევს თათბირს მთავარი რკინის გზის კომიტეტისას, ყველა რკინის გზის დაწესებულებათა და სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით, მოხსენებისა და რკინის გზის ფინანსიურ ეკონომიური მდგომარეობის გასარჩევათ.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, სრულ 4 საათზე შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტის კრება. სრულ 5 საათზე შესდგება კრება ც. კ. საკანტროლო კომისიისა (ბინა: უდელის ქ. № 3).

— დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, საბურთალოს, სახალხო თეატრის შენობაში დანიშნულია ადგილობრივ თეატრის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე მუშათა კლუბში (მიხეილის ქუჩა № 65) შესდგება თფილისის შოფერთა პროფესიონალური კავშირის კრება.

პროვინციის ქრონიკა.

მარტვილი. მთელს რაიონში სრული წესრიგია. წელს მოსავალი კარგი იყო, მაგრამ ამ რაიონს მაინც არ ეყოფა პურნახული. სასწავლებლებში მეცადინეობა ნორმალურათ მიმდინარეობს. ახალი ავადმყოფობა მეტად გავრცელებულია და სიკვდილით შემთხვევებიც ხშირია.

საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან

2 ნოემბერს ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა გერმანიის დელეგაციის საინფორმაციო განყოფილების თავმჯდომარეს პროფესორ ცუგმაიერს სხვადასხვა საკითხებზე. უკანასკნელ ამბების შესახებ დ—რმა ცუგმაიერმა შემდეგი განაცხადა:

საქართველოში გერმანელთა ჯარების დარჩენა.

გერმანიის დელეგაციას საქართველოში უმაღლეს მთავრობიდან მიუვიდა ბრძანება, რომ დელეგაციის თავმჯდომარის გენ. ფონ-კრესსის განკარგულებაში დარჩეს თფილისში მდგომ გერმანელთა გარნიზონის დიდი ნაწილი. ასე რომ, ეს ჯარი საქართველოში იქნება. ეს ბრძანება პასუხი არ არის იმ დეპეშაზე, რომელიც აქედან გაიგზავნა. ამ დეპეშაზე პასუხი, ალბათ, ცალკე მოვა. ეს დეპეშა არის დამატებითი ცნობა პირველ ბრძანებისა, რომელიც ეხებოდა საქართველოდან ჯარების გაყვანას. იმ პირველ დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ შემდეგ განმარტებებს მერე მოგაწვდითო—ამ შემდეგი დამატებითი ცნობით კი ჯარების შესახებ ისაა ნაბრძანები, რაც უკვე მოგახსენეთ.

რაც შეეხება დანარჩენ ჩვენ ჯარებს, ისინი მზად არიან და ნელ-ნელ წავლენ.

ხიდის აფეთქების შესახებ.

შეკითხვაზე: ქსანსა და მცხეთას შუა ხიდის აფეთქების განძრახვა ხომ არ დააბრკოლებს ჯარების მოძრაობას, პროფესორმა სთქვა, რომ ხიდი, რესპუბლიკის მტრების მიერ, საბედნიეროდ, ვერაა საგრძნობლათ დაზიანებული ასე რომ, თითო ვაგონი თავისუფლად გაივლის ზედ. ამას გარდა, ჩვენი საპიორები და ტეხნიკოსები უკვე გავგზავნეთ იქ, რომლებთაც მთავრობა დაიხმარიებს ხიდის შეკეთებაში. ასე რომ, ეხლა ის მზადაც იქნებაო. პროფესორის თქმით ხიდის აფეთქებაზე მუშაობდა საკმაოდ მომზადებული ხელი, რასაც აფეთქების გეგმა მოწმობს.

ოსმალეთის ვითარება.

ოსმალეთის რადიო-სადგური „ოსმანიე" მუშაობს. ასე რომ, კონსტანტინოპოლთან ჩვენ კავშირი გვაქვს. უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ დროებითი შერიგება ოსმალეთსა და მოკავშირეებს შუა უკვე ფაქტია. სამხედრო მოქმედებები. ორივე მხრივ შესწყდა 30 ოქტომბერს მოლაპარაკების პირობები ჯერ ჩვენთვის გამოურკვეველია. ერთი კი აშკარაა: ოსმალეთი ითხოვს, რომ სანამ მოკავშირენი სტამბოლში შევიდოდენ, მიეცეთ საშუალება გერმანელთა ჯარებს, რომლებიც კი ოსმალეთში არიან, გავიდენ ოსმალეთიდან. ოსმალეთში მყოფ გერმანიის ჯარის რიცხვი თუ რამდენს უდრის, ამის ოფიციალური ცნობა მე არ მაქვს, ჩემის ვარაუდით კი იქ უნდა იყვეს არა ნაკლებ 60 ათასისა. თუ ოსმალეთის ამ მოთხოვნილებას მოკავშირენი მიიღებენ, მაშინ კარგა ხანი დასჭირდება მოლაპარაკების შედეგების გამორკვევას, რადგანაც კარგა დრო უნდა, რომ ამდენ რიცხოვანი გერმანიის ჯარი ოსმალეთიდან წავიდეს. შეიძლება ახალი ხელშეკრულობა იყვეს საჭირო. რომ გერმანიის ჯარმა ბულგარეთის გზით გაიაროს, მაგრამ ეს ნაკლებ საფიქრებელია. გერმანიის ჯარები გაივლიან ბრაილოვში, რუმინიით. მანამდე კი გზა ზღვაზე ექნებათ.

ავსტრიის საგარეო მდგომარეობა.

ავსტრიასა და მოკავშირეთა შუაც დროებით ზავი ჩამოვარდა. ავსტრიის საზავო დელეგაცია გაემგზავრა იტალიაში მთავარ სადგომში მოსალაპარაკებლად. თუ რა შედეგი მოჰყვა ამას, ჯერ არ ვიცით. ავსტრიის ჯარები სხვადასხვა ქვეყნებიდან თავის სამშობლოში ბრუნდება.

ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოს შინაური მდგომარეობა.

ეს სახელმწიფო, როგორც ასეთი, აღარ არსებობს, ის დაიშალა რამოდენიმე ნაწილად და ამ ნაწილებს თავთავისი მთავრობები ჰყავთ. ეს სრული დანაწილება მოხდა სრულიად მშვიდობიანად და მას წინ არავითარი სისხლის ღვრა და უწესოება არ უძღოდა. ახლად დაარსებული სახელმწიფონი ერთმანეთს სცნობენ. ცალკე დაარსდენ: ვენგრიის ნაწილი, სამხრეთ—სლავიანური, გერმანული და ჩეხო-სლოვაკების. თუ რა შესდგა ან რა მდგომარეობაშია გალიცია და ბუკოვინა, არაა გამორკვეული. გერმანელების რიცხვი ავსტრიაში უდრის 16 მილიონს, ისე კი კომპაქტურ მასას, განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისინი წარმოადგენენ 12 მილიონს. ეს ნაწილი, ალბად, მალე დაიჭერს კავშირს გერმანიასთან. იმპერატორი ვენაშია. ვენაში უწესოება არ ყოფილა. იყო დემონსტრაციები და მანიფესტაციები. ვენგრიაში სიხარულია, მცხოვრებლები ზაარადებით დადიან და მანიფესტაციებს მართავენ, რომ დამოუკიდებლად იწყებენ ცხოვრებას. ვენგრიას შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, რადგანაც მდიდარი ქვეყანაა, ინდუსტრია არაა განვითარებული, მაგრამ იგი სამეურნეო ქვეყანაა და პური ბევრია. ეკონომიურად ის მოღონიერდება.

გრაფ ტისსას მკვლელობა

ცნობებია, რომ ვენგრიაში სეირნობის დროს ჯარისკაცებს მოუკლავთ გრაფი ტისსა, ვენგრიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ამ ცნობებს შემოწმება სჭირია.

გერმანელი ჯარები უკრაინაში.

უკრაინაში გერმანელების ჯარები ისევ არიან. უკრაინასა და გერმანიას შორის არსებობს ხელშეკრულობა, რომლის ძალით გერმანიის ჯარები უკრაინაში უნდა დარჩნენ მანამდე, სანამ უკრაინა თვით არ შექმნის სახელმწიფოსთვის საჭირო ლაშქარს. ასე რომ გერმანია ამ ხელშეკრულებას ვერ დაარღვევს".

დასავლეთის ფრონტი.

დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა ისევ გრძელდება. ბელგიაში გერმანელებმა წყალი მიუშვეს და შექმნეს მთელი წყლის ხაზი. მტერი ამ ხაზს იქით დარჩა.

გემ „გენერალის" დაღუპვის შესახებ.

თფილისში გავრცელებული ხმები, თითქოს ბათუმის ნავთსადგურში მდგარი დიდი გემი „გენერალი" დაღუპულიყოს—ყალბია. ამ ჭორების სათავეა სევასტოპოლთან დაზიანებული ავსტრიის გემი, რომლის შესახებაც მე წინად გითხარით.

ზავის საკითხი.

გერმანიის მიერ გაგზავნილ ნოტაზე ვილსონისადმი, რომ დროებითი ზავი ჩამოეგდოთ, პასუხი ჯერ არ მოსულა. ასე რომ საერთო ზავის საკითხი ამ ფაზისში იმყოფება. ვილსონის პასუხზეა დამოკიდებული შემდეგი ნაბიჯები.

საფრანგეთის და ინგლისის დელეგაციები საქართველოში.

როგორც მოეხსენებათ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ნება დართო კავკავში მყოფ საფრანგეთის და ინგლისის საელჩოებს თფილისში ჩამოსვლისა. მაგრამ ისინი ჯერ არ მოსულან. მიზეზი ამისა ის არის, რომ მათ ვერ მიაღწიეს რესპუბლიკის ტერიტორიამდე; ლარსი ბოლშევიკების ხელშია და არ უშვებენ აქეთ.

ოსმალეთში

ოსმალეთის სულთანის სიტყვა.

14 სექტემბერს ოსმალეთის სულთანმა კონსტანტინეპოლში სიტყვა წარმოსთქვა და სხვათაშორის შემდეგი სთქვა: „მე ვერ წარმომიდგენია თუ ასიათასი გაძვალტყავებული ოსმალები როგორ გადიტანენ ამ ზამთარს. თუ ომი კიდევ გაგრძელდა ერთ წელიწადს, რევოლიუცია მოხდება გერმანიაში და უფრო ადრე ავსტრიაში. მე ვგრძნობ, რომ ჩვენ მეტად ცუდი მომავალი მოგველის. ჩემი ხალხი გალატაკდა და ჩემი სამშობლო განადგურდა. ჩვენ მივედით უკანასკნელ საზღვრამდე". (დ. დ. ს.).

ქსანის ხიდის აფეთქება

თფ. გუბერნიის კომისარმა შ. მაღლაკელიძემ, რომელიც გუშინ ჩამოვიდა ქსანკიდან, შემდეგი გვიამბო აფეთქების შესახებ: როცა ჩვენ მივიღეთ ცნობა ხიდის აფეთქების შესახებ, მაშინვე გავემგზავრეთ სამხედრო მინისტრი გიორგაძე და მე, თან გვახლდა რამოდენიმე მილიციონერი, გორის და თფილისის მაზრის კომისრები და ტეხნიკები. დავათვალიერეთ და აღმოჩნდა შემდეგი: ხიდის ძირთან წყალში ერთი კალათი ორ ფუთამდე დინამიტით სავსე, ხიდის ზევით მავთულებით იყო აგრეთვე ჩამოკიდებული დინამიტები. ჩვენ გავეცით ბრძანება ეს დინამიტები აშორეთ. შემდეგ გავედით მდინარის მეორე ნაპირზე და ვკითხეთ, იცავდა თუ არა ვინმე ხიდს. აღმოჩნდა, რომ ხიდს იცავდა რამოდენიმე ჯარისკაცი, „ქართულ დრუჟინის", ჩვენს შეკითხვაზე, თუ რათ და როგორ მოხდა ხიდის აფეთქება, მათ გვიპასუხეს, რომ ჩვენ ვიცავდით მკვდარს, ხოლო ჩვენმა უფროსმა პრაპორშჩიკმა ჭყონიამ დაგვიბარა, თუ რამე მოხდეს, ნუ შეეშინდებათო. ყველა ესენი და თვითონ ჭყონიაც, რომელიც იმ ღამეს ბაზარში ყოფილიყო, ჩვენ დაუყონებლივ დავატუსაღეთ. შემდეგ მე წავედი სოფ. ძეგვში (ხიდის ახლო არის) და ხალხს გამოვკითხე ამბავი. გამოირკვა, რომ მათთვის ეს მოულოდნელი ყოფილიყო. მე მოვსთხოვე იარაღი. ერთი ნაწილი დასთანხმდა, ხოლო მეორე ნაწილი უარს აცხადებდა იარაღის აყრაზე. ერთი გლეხი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „[illegible] ნაწილში ორი შტატსკურ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი გზას კითხულობდნენო: ჯერ ვლადიკავკაზის გზა იკითხეს, შემდეგ თფილისის და შეშინებული იყვნენო. ჩვენ გამოვეკიდეთ მათ, მაგრამ ვერ შევძელით დატუსაღება. ისინი თფილისში შემოვიდნენ. ხიდი დაათვალიერა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა საბახტარიშვილმა და იუსტიციის მინისტრმა, რომელთაც თან ახლდა სადგუბერნიო ბათალინი. ბათალინი იარაღს ჰყრის ს. ძეგვის მცხოვრებთ. ტეხნიკების სიტყვით ხიდს გაკეთება ერთი კვირა მოუნდება. მიმოსვლა გადაჯდომით სწარმოებს.

მარქსისტ სტუდენტთა დღევანდელი კრების გამო

ჩვენი ახალგაზრდა მარქსისტების ვალია მივეშველოთ ჩვენს უფროს ამხანაგებს, სახელმწიფოს შენების საქმეში და ტვირთი შევუმსუბუქოთ. განსაკუთრებით დღეს არის პარტიული მუშაობის გაძლიერება საჭირო. ამ რამოდენიმე დღის შემდეგ დაიწყება დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია. ყველა პარტია თავის ძალების მობილიზაციას ახდენს. ჩვენი ამხანაგების დიდი უმრავლესობა ჩაბმულია სახელმწიფოებრივ მუშაობაში, ადმინისტრატიულ ფუნქციებს ასრულებენ და პარტიულ მუშაობისთვის ცოტა დრო რჩებათ. აი აქ, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი ძალების მობილიზაცია და გავეშუროთ სამუშაოთ, სადაც საჭიროება მოითხოვს. დღეს ჩვენ უნდა შევკავშირდეთ ორგანიზაციულად და გავითვალისწინოთ მომავალი პარტიული მუშაობის გეგმა. ამ მიზნით დღეს ქართულ უნივერსიტეტში დანიშნულია მარქსისტ სტუდენტთა კრება. განსახილველია ფრიად სერიოზული და საჭირბოროტო საკითხები. თითოეული პარტიული ამხანაგი და თანამოაზრე ვალდებულია კრებას დაესწროს. არ კმარა მარტო ის, რომ შენს თავს სოც. დემოკრატი უწოდო, საჭირო და აუცილებელია რომელიმე ორგანიზაციაში იმყოფებოდე და პარტიულ მუშაობას ეწეოდე. მაშ. გამოცხადდით, ამხანაგებო, კრებაზე.

ა. ს.

ბაქოს შესახებ

II

ბაქოს ქალაქის თვითმმართველობა, მის შემადგენელ ფრაქციების ორმაგ პოლიტიკის წარმოების წყალობით მარტამდე გაკოტრების გზას დაადგა, თვითმმართველობას განსაზღვრული სახე არ ჰქონდა. მარტის ამბების დროს კი სრულიად დაჰკარგა ელფერი, რადგან ესერ-დაშნაკელები ბოლშევიკებთან ერთად მუსავატს ებრძოდენ, დანარჩენი ფრაქციები კი უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდენ. იმ ლოზუნგს, რომ ქალ. თვითმმართველობას შეედგინა მთავრობა, საფუძველი დაეკარგა. ის ორგანიზაცია, რომელიც ისეთ დროს, როგორც მარტის ტრაგედია იყო, ვერავითარ როლს ვერ თამაშობდა და ვერც შესძლო ჩაექრო ძმათა შორის სისხლის ღვრა, მთავრობათ არ გამოდგებოდა.

ეს კარგათ იგრძნო მენშევიკების ფრაქციამ და ბოლშევიკების „დიკრეტამდე", დუმის დათხოვის შესახებ, თავის ნებით იქიდგან გამოვიდა.

ბოლშევიკები „წითელი არმიის" შედგენას შეუდგნენ. მათ უკან არც ს. რევ. ჩამორჩნენ. დაშნაკელებმა ხომ ყველაზე წინ გაასწრეს და რაზმებს რაზმებზე ადგენდენ.

მიუხედავათ იმისა, რომ ბოლშევიკების ულტიმატუმში მუსავატისადმი ნათქვამი იყო: ყოველი ნაციონალური სომხ. ნაწილი ან იარაღ აყრილი უნდა იქნეს, ან საჩქაროდ ბაქოდან გაყვანილი.

მაგრამ დაშნაკელების რაზმები, „რაღაცა მოსაზრებით" ნაციონალურათ არ იყო ცნობილი.

ალბად იმიტომ, რომ დაშნაკელები საბჭოების მთავრობას ადგილობრივათაც და ცენტრშიაც „ცნობდენ".

ჩვენთვის, ზოგიერთ ცოდვილებისათვის ცხადი იყო, რომ ბოლშევიკები და დაშნაკელები ერთმანეთის სპეკულიაციას ეწეოდენ.

ამის შედეგს ცხადათ დავინახავთ:

მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა მუსავატი „დათრგუნეს", დაშნაკელები გვერდში ამოიყენეს, ესერები თავის ჰანგზე აამღერეს (მენშევიკები ნაკლებ ძალას წარმოადგენდენ და ამიტომ ანგარიშში არ ღებულობდენ თვით ესერ დაშნაკელებიც კი), მთელი მთავრობა ბაქოში ხელში ჩაიგდეს და დაიწყეს ლენინური პოლიტიკის წარმოება.

„ურა, თფილისზე!"—გაისმა შაუმიანის „მეჭარე" ხმა, უნდა მოვსპოთ კონტრ-რევოლიუციის ბუდე, დავამკვიდროთ ოქტომბრის რევოლიუცია „მონაპოვარი".

ესერ დაშნაკელები პირველათ მორცხვათ უღიმოდენ შაუმიანის წამოსროლილ ლოზუნგებს და ჯერ ჯერობით მას ვერ იმეორებდენ. მხოლოდ სახალხო გამოსვლებში და პრესაში ძლიერ უკმაყოფილო იყვნენ თფილისლების (განსაკუთრებით ქართვ. მენშევიკების) პოლიტიკის, რომელთაც „უღალატეს რუსეთის მთლიანობის პრინციპს, და კონტრ-რევოლ. მუსავატთან კავშირს იკავებენ.

ერთის შეხედვით, გასაკვირველი იყო, რომ მთელი რუსების ჩინოვნიკობა, „კავკასიის რუსების საზოგადოების" წევრები, რომელსაც სათავეში უდგა ცნობილი ბაქოელი რეაქციონერი პონამარევი, კომპანიით, ერთბაშათ „გაბოლშევიკდენ".

ისინიც კი, ბოლშევიკებთან ერთად ჟორდანიას, წერეთელს და ჩხეიძეს „სოც. გამცემს", „სოც. გამყიდველებს" და „სოც. შოვინისტებს" ეძახდენ. მაგრამ დადგა დღე და საქართველოს დამოუკიდებლობის ამბავი მოვიდა.

„ურა, თფილისზე!"—დასძახეს დაშნაკელ-ესერებმა, მათ ბანი მისცეს მთელმა რუსის რეაქციონერებმა.

მოუწოდებდენ ყოველ შეგნებულს, რუსეთის მოყვარულს, იარაღით ხელში გაელაშქრებიათ თფილისის წინააღმდეგ.

„ურა, თფილისზე!"—გაისმოდა ყოველ ქუჩის კუთხეში, „ქართველებმა გვიღალატეს, ქართველებმა გაყიდეს სომხის ერი, რუსეთი, ჩააბარეს ოსმალებს ბათუმი, ყარსი და არდაგანი".

ესერ დაშნაკელების ოფიციალური წარმომადგენლები თავიანთ მიტინგებზე აცხადებდენ:

— ყველაზე საშიშარი ნაციონ. ტენდენცია ამ. კავკასიის ერებში ქართველმა ერმა გამოიჩინა თავის მეთაური ჟორდანია—ჩხეიძე-წერეთლის სახით, რომელნიც აქამდის რუსეთის დემოკრატიის შიშით ნამდვილ სახეს მალავდენ. დღეს ნიღაბი აიხადეს და ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ქართვ. ნაც. სულის კვეთება საფრთხეა არამც თუ ამ. კავკასიის ერებისთვის, არამედ მთელი რუსეთისთვისაც.

უნდა გავილაშქროთ თფილისის წინააღმდეგ, რათა მოვსპოთ გამყიდველების ბუდეო. საინტერესოა ამხ. აიოლლოს შეხედულება ამ მოვლენაზე.

ნუ თუ დაშნაკელები, რუსების ჩინოვნიკობა, და მათი ამყოლი ბაქოელი ესერები იმიტომ ილაშქრებდნენ თფილისის წინააღმდეგ, რომ იქ ბოლშევიკური მთავრობა დაეარსებინათ და ლენინის სოციალიზმი განეხორციელებინათ?

არა მგონია და არც აიოლლოს უნდა ეგონოს. ბოლშევიკებს გვერდში ამოუდგენ სომხის ნაციონალისტები, რომელთაც ქონდათ თავის წმინდა კერძო ნაც. ინტერესები და რუსეთის იმპერიალისტები, რომელნიც ვერ ინელებდნენ ჯერ ამ.-კავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობას.

„დიდ საქართველო ცეცხლის ალმა მოიცვას, განადგურდეს, თუ რუსეთს დაეკარგებაო", აზროვნობდნენ დაშნაკელ-რუსების იმპერიალისტები.

ასეთ ტენდენციისაგან არც ბაქოს ზოგიერთი მენშევიკები იყვნენ თავისუფალი და კერძოთ მგონი ამხ. აიოლლოც.

საბჭოს ერთ კრების დროს ჯაფარიძე იყო გამოწვეული თფილისიდან აპარატთან. აიოლლოს უნდოდა დალაპარაკებოდა თფილისს. რომ ის კეთილსაიმედო იყო, შემდეგი მოტივი წამოაყენა: „ამხანაგებმა უნდა იცოდენ, რომ მე (აიოლლო) მზათა ვარ იარაღი ავიღო და ჩემი თფილისელი ამხანაგების წინააღმდეგ წავიდე".

შეიძლება ეს განცხადება აიოლლომ „ტაქტიკური" ან „პრაქტიკული" მოსაზრებით თქვა. ამაზე ვერაფერს ვიტყვი.

ერთის სიტყვით, სომეხი ნაციონალისტები რუსეთის იმპერიალისტებთან ხელ ჩაკიდებული „ბოლშევიკურ" ნიღაბ ჩამოფარებულები ილაშქრებდნენ თფილისის წინააღმდეგ თავისი ბნელი იმპერიალისტური მიზნის მისაღწევათ.

ივ. მი—ძე.

რუსეთის ცხოვრება

აჯანყების გამო.

ხარკოვი. მატროსთა აჯანყების შემდეგ პეტროგრადში მოხდა მუშათა საბჭოს სხდომა ზინოვიევის თავმჯდომარეობით. სოვნარკომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ აჯანყების სული და გული იყვენ მემარცხენე ესერები. მატროსების აჯანყებას ხელმძღვანელობდა უმთავრესად კამკოვი. ზინოვიევი ამტკიცებდა, რომ კამკოვის ზურგს უკან სდგანან ინგლისის ბანკირები, ბირჟევიკები და საერთოდ ბურჟუაზია.

რკინის გზაზე

(მგზავრის შთაბეჭდილება)

რკინის გზით მგზავრობა ამ ჟამად ყველგან წამება ტანჯვაა. ცხადია, საერთო უმცირესობას ვერც ჩვენი რკინის გზა ასცდებოდა, მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და მგონი რომ ჩვენშიაც მოელოს ბოლო არა ნორმალურ მგზავრობას და რკინის გზის ღლეტას. არ შემიძლია ჩემი აღფრთოვანება არ გაუზიარო მკითხველებს. 29 ოქტ. ქუთაისიდან თფილისში მინდოდა ჩამოსვლა, ნაცნობებმა მირჩიეს გავყოლოდი სწრაფ მატარებელს, რომელიც ახლად არის გამოწყობილი. მეც ვერწმუნე: შუაღამის პირველ საათზე რიონის სადგურს მოადგა ელექტრონით გაბრწყინებული, მაზუთით მოსრიალე სუფთა მატარებელი, ყველა კლასის ვაგონები სუფთად და სრული წესრიგით არის გამართული, მოსამსახურეები ძველები და თავაზიანები, მატარებელი საწოლით (პლაცკარტით) ღირს ჩვეულებრივზე 20 მან. მეტი. მოსამსახურეებს ნაბრძანები აქვთ უბილეთოთ არავინ გაატარონ, თუ გინდ რკინის გზის აგენტები იყვნენ ან სადგურის უფროსები. მიუხედავათ ამისა „მუქთ კუბოს" დაჩვეული რკინის გზის ბობოლა მოსამსახურეები მატარებლის მხლებლებს აწუხებდენ თავიანთი უხეში მოთხოვნილებებით, მაგრამ ყველა უკან ჩააბრძანეს. მგზავრები ბევრი მოაწყდა და მოინდომეს უსაწოლო ბილეთის აუღებლად მოკალათება. ვერ გასჭრა მათთან ახსნა-განმარტებამ. საკვირველია ხალხი: ერთი ჟანდარმის სიტყვა მათთვის სავალდებულო იყო და ახლა რჩეულ პირებს არ უჯერიან. სწრაფ მატარებელს ამშვენებს ქართული წარწერები. თფილისიდან გადის (ფოთისაკენ) საღამოს 5 საათზე და ფოთში ჩადის დილის 6 საათზე. დრო შერჩეულია მშვენივრად. სრული იმედია ჩვენი საზოგადოება ამ მატარებელს, ისე როგორც სხვას, თვალის ჩინივით გაუფრთხილდება. ეს მატარებელი ჭეშმარიტად რომ სამაყოა და ეს იმის თავდებია, რომ ჩვენი მთავრობა სერიოზულად შეუდგა სახელმწიფოს აყვავება-აღორძინებას.

მგზავრი ა. წ.

დუშეთის მაზ. [illegible] ორგ. წარმომადგენელთა პირველი ყრილობა

დუშეთის მაზრის გლეხთა ცხოვრების ისტორიაში ორი დრო აღინიშნა ამ მოკლე ხანში. ორივე დაახსომდება ყველა მას, ვინც სულითა და გულით ადევნებდა თვალ ყურს გლეხთა მოძრაობას.

ამ ისტორიის პირველ ფურცელზე მოთხრობილია ის საშინელი, მეჯლაჯუნასავით შემაძრწუნებელი ამბავი გლეხთა ამბოხებისა, რომელმაც იმსხვერპლა ჩვენი საუკეთესო ამხანაგები—პეტრე აილობაშვილი, საშა რიკაძე, გორია ნაგლიაშვილი და კინაღამ არ დაამხო დიდი ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება და ნანგრევებად არ გადაიქცა დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესებულებანი. მეორე ფურცელი ამ ისტორიისა დაიწერა გუშინ, 27 ღვინობისთვეს, 1918 წ.

დაუღალავი მუშაობის შემდეგ მოწვეულ იქნა პირველი ყრილობა დუშეთის მაზრის სოც. დემოკრ. ორგანიზაციების წარმომადგენლებისა.

მიუხედავად იმისა, რომ დუშეთის მაზრა რკინის გზებისა და სხვა გადასვლა-გადმოსასვლელ საშუალებათა უქონლობის გამო ყველა მაზრაზე უჭირო მდგომარეობაშია, კრებაზე მაინც გამოცხადდა 39 დელეგატი. მთიულეთის და ხევის ამხანაგებმა დასახელებულ დაბრკოლებათა გამო ვერ მოასწრეს ერთ წარმომადგენელზე მეტის გამოგზავნა და მხოლოდ წერილობით მიეღეთ მოსალმება და სურვილი ნაყოფიერი მუშაობის დაწყებისთვის. ისე ძნელი იყო ვეება მანძილის დაძლევა, რომ ვერ გამოცხადდნენ ყრილობისთვის ისეთი საჭირო და პასუხისმგებელი ამხანაგებიც კი, როგორნიც არიან ი. ყაჭეიშვილი და ლადო ქარცივაძე. გულდაწყვეტილნი მხოლოდ ტელეფონით გვეკითხებოდნენ ყრილობის მუშაობის შედეგებს.

ამ ყრილობამ დაგვიმტკიცა თუ რა შესძლებია მტკიცე მუშაობას ამხანაგებისას. თუმცა იგინი ძალიან მცირედნი იყვნენ, მაინც მოუცვიათ მთელი მაზრა და შეუკავშირებიათ მოწინავე ამხანაგები. ასეთს სასიამოვნო შედეგებს თვით დელეგატებიც ნათლად ჰხედავდნენ და სიამტკბობა იხატებოდა მათ სახეზე. ეს ნამდვილი დღესასწაული იყო დუშეთის მაზრის გლეხობისა. სივაგლახის ნისლები გადასცლოდა მათს შუბლს და ჰფიქრობდნენ უფრო მომავალზე, ბედნიერ წარსულზე.

ყრილობის განხსნისას მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: ირაკლი ურუშაძემ დუშეთის სოც.-დემოკრ. კომიტეტის და დ. ჩხეიძემ პროპაგანდისტების სახელით. თუ დღემდე გვიძნელდებოდა ბრძოლა დუშეთის მაზრაში ფეხ-მოკიდებულს მრავალ უკულმართობასთან—ამიერიდან გაადვილდება იგი. ყრილობას საშუალება ეძლევა თავის მემკვიდრეთ დასტოვოს მაზრის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მტკიცეთ დაიცავს ჩვენს წმინდა პრინციპებსა და პოზიციებს.

ყრილობის თავმჯდომარის ირ. ურუშაძის წინადადებით მიღებულ იქნა შემდეგი დღიური წეს-რიგი:

1) მოხსენებანი: ა) დუშეთის კომიტეტისა, ბ) ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, გ) მაზრაში მომუშავე პროპაგანდისტებისა, 2) მიმდინარე მომენტი, 3) მიწის საკითხი, 4) სამაზრო ერობის თვითმართველობა, 5) მაზრის ადმინისტრაცია, 6) პარტიული მუშაობის გაძლიერება, 7) სახალხო გვარდია, 8) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 9) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები, 10) წარმომადგენლების დასახელება ამიერ კავკასიის ს.-დემ. ორგანიზ. ყრილობაზე დასასწრებლად.

დელეგატების და პროპაგანდისტების მოხსენებიდან გამოირკვა რომ როგორც კულტურული, ისე პარტიული მუშაობა სოფლად თანდათან ეწყობა, ხელის შემშლელი პირობები მცირდება. თუ ამ ორი სამი თვის წინეთ ძნელი იყო სოფლად გამოჩენა და უფრო ძნელი მუშათა პარტიაზე ლაპარაკი, დღეს ისეთი რაიონი არ არის, რომ არ დაარსებულიყოს ორგანიზაცია.

ასეთს ორგანოში შედიან უფრო გამორკვეულ გათვითცნობიერებული ელემენტები და ამიტომ ვერ დავიკვეხებთ წევრთა სიმრავლეს. მაგრამ დღეს უკვე გადგმულია ფეხი პარტიული მუშაობისა ისეთს შორეულ ორგანიზაციებ შორის, როგორიცაა საგურამოს, მუხრანის, ახალგორის, ბაზალეთის, ფასანაურის, კობის ყაზბეგის და სხვათა.

სოფლებში ორი მიმართულებაა. ერთი ფარული—ბოლშევიკური, რომელიც თანდათან ილევა და მოისპობა კიდეც, თუ ყოველ სოფელში გავაჩაღეთ მუშაობა მარჯვე ორგანიზატორების ხელმძღვანელობით და მეორეა სოციალ-დემოკრატიული. სხვა მიმართულებას სოფლებში ადგილი არა აქვს.

ქ. დუშეთში მდგომარეობა ცოტა სხვანაირია. აქაც მუშები მისდევენ სოც.-დემოკრატებს, მაგრამ მათ არა ჰყავთ ინტელიგენტური ძალები, საოლქო კომიტეტის პროპაგანდისტები კი თავიანთ დროს უფრო სოფლად მუშაობას ანდო-

შვენ. ხოლო თუ ხანდახან დუშეთს ეწვევიან, მათ ნაყოფიერ მუშაობას აბრკოლებს ერთი ჯგუფი ფუქსავატ ინტელიგენტებისა, რომელთაც თავი თვისი ს.-ფედერალისტ. გამოუცხადებიათ, თუმცა მათ არა სცხიათ‌ რა სოციალისტობისა და ფედერალიზმისა. ამ ჯგუფს ორგანიზულად ვერ მოუწყვიათ რაიმე კულტურული მუშაობა და სულ იმის ცდაში არიან კინკლაობით ჩაითრიონ თავიანთი მოწინააღმდეგენი იმ ჭაობში, რომელშიაც ისინი იმყოფებიან.

პროვოკატორები დუშეთის მაზრაში ჯერაც არ გამოლეულან, თუმცა პოზიციებს თანდათან სტოვებენ. თუ წინათ პროვოკატორობაში მთავარ როლს თამაშობდნენ მოხელეები და აფიცრობა, ახლა ჩარჩებს ერგოთ პირველობა. ქალაქიდან მათ საზიზღარ პირებთან ერთად მიაქვთ სოფლებთ ჭირი და სნეულებანი. გროშებათ ნაშოვნ ძველმანებს იგი უცვლის გლეხს პურსა, ყველსა და სხვა შინაურ ნაწარმოებში. ფეხ აკვეთილნი იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენი ორგანიზაციებია, იგინი გადადიან ისეთს ბნელსა და ყრუ სოფლებში, როგორიცაა ქამური და სხვა.

მიმდინარე მომენტზე ვრცელი და საფუძვლიანი მოხსენება გააკეთა ი. ურუშაძემ. მან ილაპარაკა იმ მრავალ პოლიტიკურ ამბებზე, რომელნიც ელვის სისწრაფით ერთი-მეორეს სცვლიდნენ დღიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა დღევანდლამდე.

ადგილობრივ საქმეებზე ილაპარაკა ვანო ტატიშვილმა. დუშეთის მაზრაში, სთქვა მან, დღე არ გავა, ყაჩაღობა თავდასხმა არ მოხდეს. ხშირია მკვლელობა. სამხედრო გზა ავაზაკთა სათარეშოთ გადაიქცა. კაცს შიშით ველარსად გაუვლია. რესპუბლიკის დაცვის ნაცვლათ დუშეთის მაზრის ახალ გაზრდობა სტოვებს ყაზარმებს, იარაღით მირბის ტყეში და უერთდება მძარცველებს. თუ ვერ ავალაგმეთ ასეთი კადნიერები ჩვენი, ქვეყანა ისევ გაიჩხვება ანარქიის კორიანტელში. აუცილებლივ უნდა დაუჭიროთ მხარი მთავრობას, ჩავატარებინოთ მობილიზაცია, რომ გადავარჩინოთ სახელმწიფო განადგურებისაგან. კრებამ მიიღო მომხსენებლის შემდეგი რეზოლიუცია: „დუშეთის ს.-დ. ორგან. წარმომადგენლებს პირველი ყრილობა იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯებს, როგორც აუცილებელს და ერთათ-ერთს გამოსავალს შექმნილს მდგომარეობიდან; სრულს ნდობას უცხადებს მას და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ მთავრობა დღეს მთავარ ყურადღებას მიაქცევს მტკიცე სახელმწიფო ორგანიზაციის და ძლიერი სამხედრო ძალის შექმნას, რომელიც ერთად-ერთი იმედია ჩვენი თავისუფლების და რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად“.

მიწის საკითხზე მომხსენებელმა პეტრე მანჯგალაძემ ყრილობა გააცნო უმთავრესად ორ პროგრამას, რომელიც არსებობს ამ საკითხის შესახებ: სოც.-დემოკრ. და ს.-ფედერალისტებისას. შემდეგ ამისა მომხსენებელი გადავიდა 7 მარტს დამტკიცებულ მიწის კანონის განმარტებაზე და აღნიშნა, რომ იგი უკვე განხორციელებულია, მიწები ჩამოერთვა მემამულეებს, ეკლესიებს, ყოფილი მეფის საგვარეულოს და სხვა უწყებებს. დარჩა მეორე მხარე გადაუწყვეტელი. ესაა მიწების დანაწილება გლეხთა შორის. საქართველოს მთავრობა ფიქრობს მიწები გადაეცეს გლეხკაცობას შეღავათიან ფასებში. ჩვენი ხაზინა დაცალიერებულია და თავი არა აქვს გაისტუმროს ხარჯები, რომლებიც გასწია და კვლავაც გასწევს მიწების ჩამორთმევა განაწილების დროს. გლეხობამ უნდა გაიღოს ეს ხარჯი. ჩვენი მოწინააღმდეგენი ამას საპროვოკაციოდ იყენებენ, იგინი ხალხს ჩასძახიან, ვითომც ჩვენ მიწების შესყიდვა შემოგვქონდეს და გლეხობას უარესად ვღალატებდეთ. მოწინავე გლეხკაცობას კარგადა აქვს შეგნებული სახელმწიფოებრივი ინტერესი და ამ საკითხშიაც მხარს უჭერს ჩვენს მთავრობას.

მომხსენებლის შემდეგ მიწის საკითხზე ილაპარაკეს: მიხა ქურციკაძემ, მაქრო ანაშვილმა, გ. გათენიშვილმა, დიაკონიშვილმა, ი. ქუთათელაძემ და ის აზრი გამოსთქვეს, რომ გლეხები წინააღმდეგი არ იქნებიან ხარჯების გამსტუმრებელი ფულის გადახდისა, ოღონდ აუხსნან იგი ხალხსა და დაიჩქარონ კიდეც მიწების გადაცემა.

დიდი კამათი გამოიწვია იმან, თუ როგორ განაწილდეს მიწები. კრების უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მიწების კომლობრივ დანაწილება ეჯობინება სულზე გადაცემას, ვინაიდან წევრთა რაოდენობა ოჯახში ცვალებადია და გარდა ამისა სულზე გადაცემა გამოიწვევდა დიდ აურ-ზაურს და სისხლის ღვრამდისაც კი მიიყვანდა მცხოვრებლებს.

მიწის საკითხზე მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობა საჭიროდ სცნობს მიწის კერძო საკუთრებად გადაცემას გლეხობაზე. მიწების ჩამორთმევისა და განაწილების დროს გაწეულ ხარჯების გასასტუმრებლად უნდა დაწესებულ იქნას მიწაზე შეღავათიანი ფასები. ამასთანავე ყრილობა მოითხოვს მთავრობისაგან მიწის რეფორმის დაჩქარებას. თავის მხრივ აღუთქვამს ყოველ მხრივ დახმარებას ამ მძიმე საქმის შესასრულებლად“.

ერობაზე მოხსენება გააკეთა დ. ჩხეიძემ. მან დაწვრილებით მოიხსენია ყველა ის ღონისძიებანი, რომელნიც მიღებულ იქნებიან ერობის მიერ მაზრის კეთილდღეობის გასაძლიერებლად, კულტურულ-ეკონომიურად წარსამატებლად. ჩვენს ხალხს იმიტომა ჰქონდა ცხოვრება გამწარებული, რომ რევოლიუციამდე ათას ტყავს აძრობდა გუბერნატორის ლაშქარის მოხელეობა და პოლიცია. ახლა ყველა ის გადასახადი, რომელიც ძველად ხალხის დამონება-დაბეჩავებას ხმარდებოდა, — დატრიალდება ხალხში და ერობის საჭიროებას მოხმარდება.

ერობის უმთავრესი საზრუნავი იქნება: გავრცელება სოფლის მეურნეობის მანქანებისა, გაუმჯობესებულ თესლეულობისა, საუკეთესო ჯიშის საქონლისა, აღმოჩენა საშუალებათა მავნე მწერების მოსასპობად, ვეტერინარული ღონისძიებანი, სიძვირესა და სურსათის უქონლობასთან საბრძოლველად მოწყობა კოოპერატივების კავშირისა და სასურსათო ფონდებისა. სახალხო განათლება, ჯანმრთელობა, გზების გაკეთება, სარწყავ არხების გაყვანა, ჭაობების დაშრობა, შრომის დაცვა, წყალდიდობასთან ბრძოლა, რიყეების კოლმატაჟის [illegible], ადმინისტრატიული აპარატის მოწესრიგება და სხვა. ერობის განკარგულებაში გადავა ყველა ის მიწები, რომელნიც ახლა სამიწადმოქმედო კომიტეტის ხელთაა და იგი გაანაწილებს მათ მცხოვრებთა შორის.

დემოკრატიულ მთავრობას დემოკრატიული თვითმართველობანი შეეფერებიან. იგინი იქნებიან მთავრობის მტკიცე საფუძველნი და საუკეთესო თანამშრომელ-დამხმარებელნი. მშრომელი ხალხი უნდა ეცადოს ერობაში სწორეთ ისინი გაიყვანოს, ვისაც მისი მოპოვებისთვის უბრძოლია და შეგნებული აქვს ხალხის საჭიროებანი.

მოხსენების დასასრულს კრებაზე წაკითხულ იქნა სია იმ პირთა, რომელნიც კანდიდატებად სახით სამაზრო ერობის ხმოსნებად წარმოდგენილ იქმნა სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციისაგან. კრებამ მოისმინა სია და გადაწყვიტა ძალ-ღონე არ დაიშუროს არჩევნების სასურველად ჩასატარებლად.

პარტიული მუშაობის შესახებ გამოითქვა ის აზრი, რომ პროპაგანდისტების სიმცირის გამო, თვით ადგილობრივმა ამხანაგებმა იმუშაონ. ავრცელონ პარტიული ლიტერატურა, ჟურნალ გაზეთობა და წიგნაკები. მოაწყონ ყოველგან სოც. დემ. ორგანიზაციები, ჰქართონ საუბრები სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. მიიღონ ყველა ზომები თანამოაზრეთა გასამრავლებლად.

სახალხო გვარდიის შედგენის განხილვის დროს აღიარებულ იქნა, რომ მისი დაარსება ძალიან საჭიროა დუშეთის მაზრაში, სადაც აუარებელი იარაღია სოფლებში შესაკრები და მრავალი ყაჩაღია ტყეში გაჭრილი.

გვარდიაში რომ არ შეეპარნენ მაწანწალები და მავნე ელემენტები, ყრილობამ ამოირჩია კომისია, რომელიც წაუძღვება გვარდიის შედგენის საქმეს და მიიღებს მხოლოდ მას, ვინც მზათაა თავისუფლების დასაცავად გასწიროს თავი. კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: ტ. შუშიაშვილი, გ. გათენიშვილი, ფედრია იმერლიშვილი, კ. ბუთხუზი, გიორგი არაქელოვი და ხ. დიაკონიშვილი.

დუშეთის მაზრის ადმინისტრაციის შესახებ ლაპარაკობს დ. ჩხეიძე. მაზრაში თუ დღემდე არ მოჰქონია ბოლო ათასგვარ სისაძაგლეს, ეს იმიტომ, რომ კომისრებათ იყვნენ ან ძველი პოლიცელები, ან ყოვლად უვარგისი პირები. გამონაკლისი ფრიად მცირედია.

ეს ყველგან აღშფოთებას იწვევს და სულ იმას გვავალებენ, რომ უშუამდგომლოთ მთავრობასთან მათი გამოსაცვლელად.

ჯერ ჯერობით შევძელით მაზრის კომისარის გამოცვლა, თუმცა მას გარშემოსდგომოდნენ და ძალიან იცავდნენ ს.-ფედერალისტები. საჭიროა მის მზგავს ხელ-ქვეითთა გადაყენებაც. უნდა გაიცხრილოს აგრეთვე მილიცია. მხოლოდ სრული რეორგანიზაცია შესძლებს ხალხს მთავრობა შეაყვაროს.

კერძო მილიციის უვარგისობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მილიციონერები ნივთიერად უზრუნველ-ყოფილი არ არიან, სამი თვეა მათ არ მიუღიათ ჯამაგირი. მალე მოსალოდნელია სრულიად დაიშალოს მილიცია, თუ არ იქმნა მიღებული მარჯვე ზომები.

მომხსენებლის აზრი ადმინისტრაციის შესახებ დაადასტურეს და შეავსეს მრავალი ფაქტებით სოფლის დელეგატებმა და მოითხოვეს მრავალის გადაყენება.

კრებამ დაადგინა: 1) ოფიციალურად ეცნობოს ახალ მაზრის კომისარს, რომ: ადმინისტრაცია არაა თავის ადგილას და დაუყონებლივ შეუდგეს მათს გაწმენდას, 2) ეცნობოს მთავრობას, რომ სამი თვის განმავლობაში ჯამაგირების მიუღებლობის გამო მილიციონერები სტოვებენ თავიანთს ადგილებს და ეს მილიციონერობისგან მოსალოდნელი არეულობის ასაცილებლად საჩქაროდ უნდა იქმნას გამოგზავნილი ფული ჯამაგირების მისაცემათ, 3) მიექცეს მაზრის კომისრის ყურადღება იმაზე, რომ მილიციაში შედიან ისეთი არა საიმედო პირები, რომელნიც ჩარჩსა სცხებენ და სახელს უტეხენ მთავრობას.

სხვა პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ ლაპარაკობენ პ. მანჯგალაძე და ი. ურუშაძე. სოც. დემოკრატია მუდამ თანახმა იყო ეთანამშრომლნა ყველა იმ სოციალისტურ პარტიებთან, რომელნიც ხელის შემწყობნი იქნებოდნენ აღმშენებლობითი მუშაობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამ ნიადაგზე შესაძლებელი გახდა შეთანხმება ჩვენსა და სოც.-ფედ. შორის. ასეთი თანამშრომლობა ვერ მოხერხდა დუშეთის მაზრაში. სოც.-ფედ.-თა ლიდერებათ აქ ყოვლად უპასუხისმგებლო პირები არიან. ჩვენ აქ არ მოვიხსენიებთ იმ მუდლიანობას, რომელსაც ისინი იჩენდნენ ჩვენს წინააღმდეგ ერთი თვის განმავლობაში. აღვნიშნავთ მათს უკანასკნელ საქციელს. დავიწყეთ თუ არა მუშაობა მაზრაში ერობის შემოსაღებად, ისინი ყელზე დადგნენ და გვიწყეს კენა. ერთს კრებაზე მათი თავმჯდომარე შემოვიდა ძალზე მთვრალი და ქუჩური ლანძღვა-გინებით გაგვიმასპინძლდა. ასეთივე „მუშაობა“ იჩინეს დანარჩენებმა. ქალაქის გამგეობის თავმა ალ. ინაშვილმა არამც თუ არ წარმოადგინა ამომრჩეველთა სიები, არამედ განკარგულებაც კი გასცა უმალ დაეჭირათ, ვინც გადმოიღებდა მცხოვრებთა აღწერას. დღე და არ გავა, რომ იგინი არ ეცადნონ ხელი შეუშალონ და ჩაუფუშონ დაწყებული მუშაობა.

ასეთსავე საშინელ კამპანიას ეწეოდნენ ისინი ჩვენს წინააღმდეგ რევოლიუციის პირველ თვეებშიაც. ვინ მოსთვლის იმ უამრავ ცილისწამებას და უკვანო ჭორებს, რომლითაც იგინი უმასპინძლდებოდნენ და უწყარებდნენ სიცოცხლეს ჩვენს ისეთს სპეტაკს ამხანაგს, როგორიცაა მ. კლიმიაშვილი!

ყველა ამან დაგვიმტკიცა, რომ ყოვლად შეუძლებელია მათთან შეთანხმებითი მუშაობა. ამიტომ გადავწყვიტეთ ერობის არჩევნებში ყოვლად დამოუკიდებლად.

დელეგატებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ ადგილობრივ ფედერალისტთა ხელ მძღვანელები მართლაც უმსგავსოდ იქცევიან და იქცეოდნენ. ხალხშიაც ისე აქვთ გატეხილი სახელი, რომ მათთან კავშირი სოც. დემოკრატებს სახელს გაუტეხს და ბევრს დააკარგვინებს. მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში ყრილობამ, მოიწონა ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ გადადგმული ნაბიჯები.

ამის შემდეგ მოხდა არჩევნები დუშეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტის წევრებისა. არჩეულ იქმნენ: ი. ურუშაძე, პ. მანჯგალაძე, ვ. ტატიშვილი, ტ. შუშიაშვილი, აკ. ტყემალაძე, ი. ქუთათელაძე, გ. გათენიშვილი, მ. ქურციკაძე, მ. ინაშვილი, ალ. ჩოხელი და დ. ჩხეიძე.

ამიერ კავკასიის ს. დ. პარტიულ ყრილობაზე დელეგატებათ დასასწრებლად ამორჩეულ იქმნენ ი. ურუშაძე და დ. ჩხეიძე.

დასასრულ ყრილობამ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „დუშეთის მაზრის ს.-დ. ორგ. წარმ. პირველი ყრილობა ესალმება თქვენის სახით საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და იმედს გამოსთქვამს რომ ამიერიდან დუშეთის მაზრის გლეხკაცობა, ორგანიზ. შეკავშირებული, ყოველ წამს მზად იქნება დაიცვას ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ყოველგვარ კონტრ რევოლიუციონურ გამოსვლებისაგან“.

ყრილობა ღამის ორ საათს დაიშალა ინტერნაციონალის მღერით.

დ. თურდოსპირელი.

ს.-დემ. პარტიაში

ტფილისი 24 ოქტომბერს შესდგა მე 6 რაიონ. კოლექტივის ახალ შემადგენლობის წევრთა მორიგი კრება. დღის წესრიგს შეადგენდნენ: არჩევნები პრეზიდიუმისა და ს. გლახოიანის საქმე. კრებას ხსნის ძველი კოლექტივის თავმჯდომარე ვ. ალიხანიანი. მან მიმართა კრებას მისალმებით და გამოსთქვა სურვილი კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობისა. დაბოლოს წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს კოლექტივის თავმჯდომარე და შემდეგ მთელი შემადგენლობა კოლექტივის პრეზიდიუმისა, რაც მიღებულ იქნა. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ პრეზიდიუმში შემდეგი პირნი: თავმჯდომარეთ ი. ირემაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგებათ ვ. ათაბეკოვი და ვ. ინწკირველი, მდივნათ მ. ნაკაიძე და ხაზინადრათ ა. გოგიტაშვილი. მასთან კრება სურვილს გამოსთქვამს დაქირავებულ იქნას საკანცელარიო საქმის მწარმოებელი მდივნის ხელმძღვანელობით. შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვაზე სარქის გლახოიანის შესახებ, რომელმაც უდიერი სიტყვით მოიხსენია პარტიული ორგანო „ბორბა“ მოწინავე ამხანაგებს და კოლექტივის წევრთა თათბირზე. კითხვა იყო დასმული პარტიულ გაზეთის გავრცელებაზე. მაშინ სარქის გლახოიანცმა განაცხადა წინააღმდეგი და დაუმატა (Эта не газета, а мерзость) უწოდა გაზეთ „ბორბა“-ზე, რომელშიაც მოთავსებული იყო ლექსი თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოზე. კრებამ იქონია ამაზე მსჯელობა და მიიღო შემდეგი დადგენილება: კოლექტივი მოითხოვს გლახოიანისაგან წაიღოს მის მიერ წარმოთქმული სიტყვები და მასთან უცხადებს მას ენერგიულ პროტესტს და ამის შესახებ აცნობებს, როგორც თფილისის კომიტეტს, ისე მთავარ შტაბს სახალხო გვარდიისას, სადაც ის წევრად შედის. დანარჩენი კითხვები გადადებულ იქნა შემდეგი სალამოსთვის. ნა.

თიანეთი. თიანეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრების საზოგადო კრებაზე განიხილეს გასული წლის ანგარიშები. აღმოჩნდა, რომ შემოსავალი პარტიას ჰქონია 1917 წ. ოქტომბრიდან 1918 წლის 1 სექტემბრამდე სულ 152 მ. ხარჯები: პროცენტი საოლქო კომიტეტს 139 მ. 90 კ., დარჩენილა კასაში 12 მ. 10 კ. კრებამ დაადგინა, რომ გაძლიერდეს მუშაობა, შეიძინოს საჭირო წიგნები წევრებისათვის, ამის შესრულება დაევალა მოსულ ამხანაგს. გადასწყვიტეს სხვა სოფლებში აღადგინონ ორგანიზაციები.

თიანეთის ორგანიზაციის დავალებით
ს. ქიტიაშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

„ერთობის“ № 228 ქრონიკაში სწერია: „სამხედრო მინისტრის განკარგულებით ოზურგ. მაზრის კომისარმა ს. ნიგოითში გაჩხრიკა ფოთის სასურსათო მაღაზიის ზედამხედველი შ. ს. აროშიძე, მას აღმოაჩნდა ბევრი სამხედრო ნივთები; აროშიძე დაატუსაღეს“-ო.

ეს ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება. მართალია, სამხედრო სამინისტროს, ნება მისცა ვიღაც ჩემმა პირადმა მტრებმა, რომ ჩემზე ეჭვი მიეტანათ და მოეხდინა საჭირო და კანონიერი განკარგულება, რომ დაესაბუთებინა თუ მართლა მიმითვისებია მე სახაზინო ნივთები, მაგრამ ის ცნობა, თითქოს მე სახაზინო ნივთები აღმოჩენოდეს, სიმართლეს მოკლებულია და ისიც, რომ თითქოს მე ჩხრეკის შემდეგ დავეტუსაღებინე ოზურგეთის კომისარს; ჩხრეკის შემდეგის მიხედვით სამხედრო მინისტრმა საქმე გადასცა გამოსაძიებლად სამხედრო პროკურორს.

ამასთანავე დავსძენ, რომ 4 ოქტომბერს სალამოს 10—11 ს. ქ. ფოთში ავაზაკები თავს დამესხნენ და ჩემი გაძარცვა მოინდომეს, (სადაც იმ დროს ჯიბეზე მქონდა 28,000 მ. სახაზინო ფულები) მაგრამ ჩემმა თავგანწირულმა ბრძოლამ ფულები დაიფარა, მაგრამ მე დამჭრეს და მას შემდეგ ქ. ქუთაისში ვწოლობ.

პატივისცემით შ. ს. აროშიძე.

განცხადებანი

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, სალამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 12 საათამდე და სალამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ქრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ქრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება სალ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და სალამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ № 32.

ექ. ქალი რ. ა. ზიუმლერ-სახაშვილი
მედიცინის დოქტორი ციურიხის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible]. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და სალამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

მიხეილის კერძო. სამკურნალო
მუდმივ ხაწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და სალამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. სალ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავადმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
დოქტორ ა. მ. ლევინშტეინისა.
ავადმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

კბილის საექიმო [illegible]
თედორე საყვარელი[illegible]
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და სალამოს 5-6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ სალამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სალამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და სალამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

ექიმი მ. ა. ზაურანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და სალამოს 5—8 საათამდე. ქალების სალამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ სალამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ნ. მ. მუხაძე
იღებს საღოსტაქრო ავათმყოფთ სალამოს 3—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 5; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სფანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, სალამოს 5—7, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მძარ. წრე.
სახალხო სახლი.
ორშაბათს, 4 ნოემბერს, 1918 წელს ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
1 **მაღაროს უფროსი მუშა** დრამა 1 მოქ. თარგ. ნ. გოცირიძისა.
2. **რაც გინახავს ველარ ნახავ** კომ. 3 მოქ ა. ცაგარელისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, ელ. ჩერქეზიშვილი, ჭაურელი; ბბ. გოცირიძე, რომანიშვილი, ფირიაშვილი, მინდიაშვილი, მეტრეველი, ნინოშვილი, სალაყაია, ხოჭუაშვილი, თავდგირიძე, ჯაბაური, ჭანკვეტაძე, ხახანაშვილი.
დასაწყისი სალ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ. მდე.
რეჟისორი * * *
რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

მეოთხე რაიონის კოლექტივი

კვირას, 3 ნოემბერს, სალამოს 5 საათზე ბიუროს ბინაში (მე-6 სავაჟო გიმნაზია, უდელის ქუჩა, № 3) იწვევს აღნიშნულ რაიონის ს.-დ. მ. პარტიის წევრთა

საზოგადო კრებას

(ეს კრება გაგრძელებაა მეორე კრებისა)
განსახილველია: 1) მუშათა საკითხი, 2) ინტერნაციონალიზმი, 3) დელეგატების არჩევა ყრილობაზე გასაგზავნათ.
მომხსენებელი იქნება **ირაკლი წერეთელი.**
ვსთხოვთ წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.
კოლექტივის პრეზიდიუმი.

დღეს, 3 ნოემბერს თფ. საქონლის სადგურის პროფესიონალურ კავშირის დარბაზში შესდგება თფ. საქ. სად. ს. დ. პარტიის წევრთა

საზოგადო კრება

დღის წეს რიგი: 1) მიმდინარე მომენტი—მოხსენებას გააკეთებს საქარ. პარლამენტის წევრი გ. ცინცაძე, 2) სასურსათო კომიტეტის მოხსენება, 3) საგამომძიებლო კომისიის მოხსენება, 4) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 5) მოხსენება ადგილებიდან, და სხვ.
ვსთხოვთ ამხანაგებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

სამკურნალოების მოსამსახურეთა

პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს და აძლევს ცნობას წევრებს, ვისაც არ შემოუტანია საწევრო ფული პირველ დღიდან კავშირში შემოსვლისა 6—7 თვის განმავლობაში წესდების ძალით გამორიცხულნი იქნებიან კავშირიდან გამგეობა სთხოვს წევრებს, რაც შეიძლება ადრე შემოიტანონ საწევრო ფული, არა უგვიანეს 20 ნოემბრისა, ვინც ამას არ შეასრულებს, 21 ნოემბრიდან გამორიცხულნი იქნებიან კავშირიდან. საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება გამგეობაში სალამოთი 6—8 საათამდე ყოფილ სასტუმრო „ბოშონდში“ ელისაბედის, ნეკრასოვის ქუჩის კუთხე.
(3—2) გამგეობა.

თფილისის საქონლის სადგურის

ხელის მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ 1 ნოემბრიდან გაზეთ „ერთობაზე“ ხელის მოწერა შეიძლება პროფ. კავშირის კომიტეტის წევრთან ე. ჩიგოგიძესთან. ფულის გადახდაც იქვე შეიძლება. გასული თვეების ფული კი უნდა გადასცეთ ს. ჩიგოგიძეს. (2—2)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.